

2007



საქართველოს  
იკლიოთეკა

ISSN 1512-0880

№4 2007

# საქართველოს

# ბიბლიოთეკა




რედაქციის მისამართი:  
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7  
საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა  
ტელ.: 93-26-82

**ქურონალის რედაქცია:**  
**ადექსანდრე ღორია**  
- მთავარი რედაქტორი  
**გურამ თაყნიაშვილი**  
- მთავარი რედაქტორის  
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი  
**მზია რაზმაძე**  
- კომერციული დირექტორი  
**გუდნარა სცურუა**  
- სამეცნიერო-მეთოდური და  
კორექტორულ-ტექნიკური მუშაობის  
რედაქტორ-კოორდინატორი



**ინსტანსიონი „ალი“**  
დამფუძნებლები: საქართველოს  
პარლამენტის ილია ქავჭავაძის  
სახელობის ეროვნული  
ბიბლიოთეკა; საქართველოს  
საბიბლიოთეკო ასოციაცია.



საქართველოს ბიბლიოთეკა №4-07  
შინაარსი

პრიორიტეტი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ასოციაციის წევრის ეთიკის კოდექსი

წიგნისა და ჟურნალისტიკის ისტორია

ნინო ხვედელიძე – „ცისკარი“ – პირველი „სიტყვიერებითი ჟურნალი“ საქართველოში

ძველი ჩინური წიგნი და საწერი მასალა

მოსაზრება

გიორგი სარაჯიშვილი – სიტყვა აკაკის „ვედრებაზე“

რამაზ მეფარიშვილი – მცირე რამ მიხეილ ლანიშაშვილის წიგნზე  
**ღვანლის უკვდავოფა**

მზია ტოგონიძე – ის დღესაც კარგად ახსოვთ

ღირსეული წინაპრები

ალექსანდრე ლორია – ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ასპექტები

მწერლის არქივიდან

ნანა კანდელაკი – გარდასულ დღეთა მოსაგონარი

კორესპონდენციები

ნანა ოქროპირიძე – ლიტერატურული საღამო-შეხვედრა ჩვენს სკოლაში

გულიკო კვიციანიძე – ერთი ლამაზი დღე

ალექსანდრე ლორია – კომენტარები კომენტარებზე

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების კალენდარი

კონწარას კლუბი

კონწარას გამოფენა მცირე კომენტარით

**БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №4-07**

**Содержание**

Приоритет

**Библиотечная ассоциация Грузии**

Кодекс этики члена ассоциации

**История книги и журналистики**

Нино Хведелидзе – «Цискари» - первый «словесный журнал» в Грузии  
Древняя книга в Китае и материалы для письма

**Мнения**

გიორგი სარაჯიშვილი – Слово о «Ведреба» («Мольба») Акаки  
Рамаз Мепаришвили - Немного о книге М. Ханишашвили

**Увековечение заслуги**

Мзия Тогонидзе – Его и сегодня хорошо мотнят  
Александр Лория – Аспекты жизни и творчества Ильи Чавчавадзе

**Из архива писателя**

ნანა კანდელაკი – Воспоминания о прошедших днях

**Корреспонденция**

ნანა ოკროპირიძე – Литературный вечер – встреча в нашей школе  
გულიკო კვიციანიძე – Один прекрасный день  
Александр Лория – Комментарии к комментариям

**Хроника**

Библиотечная жизнь Грузии: события, факты

Календарь юбилейных и знаменательных дат

**Клуб Концары**

Выставка Концары с краткими комментариями

**Georgian Library, 4-07**  
**Table of content**

Priority

**Georgian Library Association**

Member's Code of Ethics

**History of the Book and Journalism**

Nino Khvedelidze – The “Tsiskari” – the First Literary Magazine in Georgia

The Ancient Chinese Book and Writing Material

**Opinion**

Giorgi Sarajishvili – A Speech on Akaki's Plea

**Immortalizing the Contribution**

Mzia Togonidze – Still remembered

**Praiseworthy Ancestors**

Alexsander Loria - The Facets of Ilia Chavchacadze's Life Works

**From the Writer's Archives**

Nana Kandelaki – Memories of the Time Past

**Correspondence**

Nana Oqropiridze – A Literature Evening at Our School

Guliko Kvitsaridze – One Lovely Day

Alexsander Loria - Comments on comments

The Chronicle of the Georgian Library Life: Events, Facts


The Calendar of Anniversaries and Remarkable Dates

**Kontsara's Club**


Kontsara's Exhibition with Some Comments

25162

საქართველოს  
პანორამიტი  
ბიბლიოთეკა



# პრიორიტეტი



“პრიორიტეტი” რაიმე საქმეში პირველობას – უპირატესობას ნიშნავს და სხვადასხვაგვარი თვალსაზრისით გამოიყენება, მაგრამ როგორადაც არ უნდა გამოვიყენოთ ეს ტერმინი, გვინდა თუ არა, იგი გარკვეულ დროსთანაა დაკავშირებული. მაშასადამე, როცა რაიმეს პირველობაზე, უპირატესობაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება დროც, რომელშიც ვიმყოფებით, ეს კი, თავისთავად, პირდაპირ თუ ირიბად, არსებულ სიტუაციასთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც: უმეტესწილად, პრიორიტეტს სწორედ ის სიტუაცია განაპირობებს, რომელშიც ვიმყოფებით.

პრიორიტეტის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა საქმის სრულყოფილად წარმართვისათვის, მით უმეტეს, თუკი ამ საქმის რეფორმა ხდება, პრიორიტეტის განსაზღვრის გარეშე ძნელია განვითარების დაგეგმვა და პროგრამირება, პროგნოზირება და რეკომენდირება. ამგვარად, პრიორიტეტის განსაზღვრა წარმოადგენს საქმის გაუმჯობესების, განვითარების, რეფორმირების საფუძველს.

ესოდენ მნიშვნელოვანი რამ, როგორიც პრიორიტეტის განსაზღვრაა, საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს პროფესიონალიზმს, ე. ი. საქმის ღრმად და საფუძვლიანად ცოდნას; გარდა ამისა, პრიორიტეტის სწორად განსაზღვრისათვის საჭიროა სიტუაციაში კარგად გარკვევა, არსებული შესაძლებლობების რეალისტურად შეფასება, მომავლის განჭვრეტა, გამოცდილება, პროგნოზირებისა და საფუძვლიანი ანალიზის უნარი, მეცნიერულდემეთოდოლოგიური კვლევა.

ცხადია, ყოველივე ეს ერთი პიროვნების ძალებს აღემატება, და როდესაც

გვჭირდება განვსაზღვროთ საქმის განვითარების პრიორიტეტები, უეჭველად უნდა მივმართოთ გამოცდილ სპეციალისტთა ჯგუფს, მივიღოთ მხედველობაში მრავალი სპეციალისტის მოსაზრებები და მათი წინადადებები.

საბიბლიოთეკო-საინფორმაციო საქმეში, სამსუხაროდ, საქმე ამგვარად არ არის, რაც მეტად საეჭვოდ ხდის საერთო მიზნის მიღწევას – ავიყვანოთ ჩვენი ბიბლიოთეკები თანამედროვე დონეზე. ეს გამონვეულია, უბრალოდ, იმით, რომ არ არსებობს ხელისუფლების ნება, ხელი შეუწყოს დარგს აღმავლობაში, საქმე მთლიანად თვითდინებაზეა მიშვებული, ან სულაც იმათზეა მინდობილი, რომლებიც ვერ ფლობენ ვერც სიტუაციას, ვერც საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას, რომლებიც თავიანთი შეხედულებით მოქმედებენ, თანაც ყოველგვარი კონტროლისა და ზედამხედველობის გარეშე, ხშირად კანონსაწინააღმდეგოდაც კი. მაშ, რას უნდა მიენეროს სოფლების უმრავლესობაში ბიბლიოთეკების გაუქმება ან მათი შეერთება სასკოლო ბიბლიოთეკებთან, საქალაქო ბიბლიოთეკების დაუსაბუთებელი შემცირება, წიგნადი ფონდების განუკითხავად განიავება, დიდი ბიბლიოთეკების უსაფუძვლოდ გაერთიანება, საშტატო ერთეულების სახელწოდებათა აღრევა და ყოველდ შეუსაბამო შეკვეცა, ყოველგვარი ნორმატივებისა და სტანდარტების უგლებელყოფა, სისტემის მთლიანად მოშლა, მეთოდოლოგიური სამსახურის გაუქმება და მრავალი სხვა?

არავის არსად და არასოდეს დაუსაბუთებია, როგორი უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი ბიბლიოთეკა და მთლიანად საბიბლიოთეკო სისტემა, რა ნორმატივებია მისაღები სხვადასხვა საორგანიზაციო

საკითხების მოსაწესრიგებლად, როგორ უნდა განისაზღვროს ქალაქში ბიბლიოთეკების რაოდენობა, როგორ უნდა იმუშაოს ბიბლიოთეკამ როგორც საჯარომ, როგორ უნდა განისაზღვროს საშტატო ერთეულები და უამრავი რამ, რომლის გარეშეც საბიბლიოთეკო საქმის განვითარება კი არა, ნორმალური ბიბლიოთეკების არსებობაც კი შეუძლებელია.

როდესაც დაბეჯითებით გადავავლებთ თვალს დარგის საქმიანობას და მის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებას, საკმაოდ ცუდი პერსპექტივები ისახება ჩვენს წინაშე. ვახდენთ რა ყოველივე ამის ანალიზს, მივდივართ დასკვნამდე, რომ ჩვენ უეჭველად უნდა შევიმუშაოთ ის პრიორიტეტები, რომელთა განსაზღვრა თანამედროვე პირობებსა და არსებულ სიტუაციაში აუცილებელია. მაგრამ ამას არავითარი აზრი არ ექნება, თუკი მას არ მიექცევა სათანადო ყურადღება მათგან, რომლებიც ამ საქმის მესვეურნი არიან და სახელმწიფოებრივად ევალებათ იზრუნონ დარგის განვითარებაზე, აქედან გამომდინარე, ჩვენს უპირველეს ამოცანად, ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტად ითვლება ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ამოქმედება დარგისათვის ყურადღების მისაქცევად და იმ ღონისძიებების გატარება, რომელთა პროცესები შეუქცევადი იქნება.

ჩვენს დარგს არ გააჩნია ერთი ძირი-

თადი პრიორიტეტი, რომელიც მთლიანად გამოკვეთავდა გარდაქმნადგანვითარების პერსპექტივას. შეიძლება გადაჭრით ითქვას: მხოლოდ რამდენიმე პრიორიტეტად აღიარებულ სამუშაოს შესრულების შედეგად ვახდება შესაძლებელი წარმატების მიღწევა. ჩვენი აზრით, უკვე დასახელებული პრიორიტეტის გარდა, გამოკვეთილი უნდა იქნეს შემდეგი:

1. სისტემის ჩამოყალიბება და თანამედროვე ბიბლიოთეკის სტატუსის განსაზღვრა;

2. მეთოდოლოგიური სამსახურის ამოქმედება;

3. სტანდარტიზაცია და ნორმირება;

4. მეცნიერული მუშაობა და სპეციალისტთა მომზადება-გადამზადების მოგვარება.

ამ პრიორიტეტული პროცესების სრულყოფილად მოგვარებასავსებით უზრუნველყოფს სხვა მრავალი საქმის წარმატებით მოგვარებასაც, რაც თავისთავად გამოიწვევს დარგის მთლიანად გარდაქმნასა და განვითარებას.


ცხადია, ვგულისხმობთ, რომ ამ პრიორიტეტების განსაზღვრა მოითხოვს შემდგომ განსჯასა და შესწავლას, რაშიც უნდა ჩაებნენ ჩვენი სპეციალისტები, გამოცდილი პრაქტიკოსები და თეორეტიკოსები. გადანიშნული გვაქვს, ჩვენს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტების შესახებ ცალკეულად ვისაუბროთ მომდევნო ნომრებში. იმედია, ჩვენი სპეციალისტები აქტიურად ჩაებმებიან ამ საქმეში.

## მკითხველთა საყურადღებოდ!


საბიბლიოთეკო სისტემის რღვევის შედეგად, რაც გამოწვეულია ე. წ. რეორგანიზაციით, შემცირდა ბიბლიოთეკების რაოდენობა, შეიმჩნევა ბიბლიოთეკართა კადრების დენადობა, გაუქმებულია სპეციალისტთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში, დისკრედიტაციას განიცდის მეთოდოლოგიური მუშაობა, შეწყვეტილია მეცნიერული მოღვაწეობა საბიბლიოთეკო – ბიბლიოგრაფიულ დარგში, დეზორიენტირებულია საბიბლიოთეკო საზოგადოება, რამაც გამოიწვია მომხმარებელთა მოთხოვნის შემცირება ჟურნალზე. დაქვეითდა პრაქტიკოს მუშაკთა აქტივობა, მათი მონაწილეობა ჟურნალის შინაარსის შედგენაში. ყოველივე ამას ემატება ჟურნალის ქრონიკული უსახსრობა, რაც კიდევ დაეტყო მის როგორც მოცულობას, ისე გამოცემის ვადებს, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ჩვენს მკითხველებს.

იმედს გამოვთქამთ, ჩვენი დარგის მუშაკები მხედველობაში მიიღებენ ამას და თანადგომას გამოუცხადებენ ჟურნალს.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია



## საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრის ეთიკის კოდექსი



როგორც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრები, ჩვენ ვაღიარებთ იმ ეთიკური პრინციპების ჩამოყალიბების და დაცვის აუცილებლობას, რომლებიც განსაზღვრავს ჩვენს ფასეულობებს და განასახიერებს ჩვენს ეთიკურ პასუხისმგებლობას ამ ცვალებად გარემოში.

ჩვენ იმ პროფესიის წევრები ვართ, რომელიც – მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ინფორმაციისა და ცოდნის ორგანიზებასა, შენახვასა და გავრცელებაზე. – ერთგულია ინტელექტუალური თავისუფლებისა და ინფორმაციის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის იდეებისა;

ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული ეთიკური ვალდებულება საზოგადოების წინაშე ინფორმაციის, განათლების, კულტურის დაცვისა და განვითარების, დასვენებისა და თავისუფალი დროის ორგანიზაციის საზოგადოებრივი მოთხოვნილების განსახორციელებლად.

ჩვენ ვზრუნავთ, უზრუნველვყოთ მომსახურების უმაღლესი ხარისხი და კომფორტულობა ბიბლიოთეკის ყველა არსებული ან მომავალი მომხმარებლისათვის, განურჩევლად ეროვნების. რასის, სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებების. რელიგიური მრწამსის, სქესისა და ასაკისა. შესაფერისი, მრავალფეროვანი და მოხერხებულად ორგანიზებული რესურსების მეშვეობით: სამართლიანი მომსახურების პოლიტიკით, ზუსტი, მიუკერძოებელი, და დროული პასუხით ყველა მოთხოვნაზე.

ვიცავთ ინტელექტუალური თავისუფლების პრინციპებს და წინააღმდეგობას

ვუნევთ ბიბლიოთეკის რესურსების ყოველგვარი არაკანონიერი შეზღუდვის მცდელობას.

ვიცავთ ბიბლიოთეკის ყოველი მომხმარებლის პირადი ინფორმაციის დაცვის და კონფიდენციალობის უფლებას, მის მიერ მოძიებული, მოთხოვნილი, გადაცემული და გამოყენებული ინფორმაციის თვალსაზრისით.

ვაღიარებთ და პატივს ვცემთ ინტელექტუალური საკუთრების უფლებას.

ვურთიერთობთ თანამშრომლებსა და კოლეგებთან სამართლიანად და კეთილსინდისიერად. ვამკვიდრებთ სამუშაო პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს დაწესებულების ყოველი თანამშრომლის უფლებებსა და კეთილდღეობას.

ჩვენ არ ვცდილობთ პირადი ინტერესების დაკმაყოფილებას ბიბლიოთეკის მომხმარებლის, კოლეგების, დამსაქმებელი ორგანიზაციების ხარჯზე.

ვანსხვავებთ ჩვენს პირად ინტერესებს და პროფესიულ მოვალეობებს, არ ვუშვებთ, რომ პირადმა რწმენამ ხელი შეუშალოს ჩვენი დაწესებულებების მიზნების მიღწევას ან საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობას.

ჩვენ ვისწრაფით როგორც საკუთარი პროფესიული დაოსტატებისაკენ, უნარჩვევებისა და ცოდნის ზრდით, ასევე ხელს ვუწყობთ თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას და მხარს ვუჭერთ ახალი (დამწყები) კოლეგების პროფესიულ მისწრაფებებს, ხელს ვუწყობთ თანამშრომლობას, საერთო ქსელში ჩაბმას, ცოდნის გაზიარებას.





6060 სველეძია

## „ცისკარი“ პირველი „სიბუჟიარაბითი

## ჟურნალი“ საქართველოში

[დაარსებიდან 155 და გ. ერისთავის დაბადებიდან 195 წლისთავთან დაკავშირებით]



ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებას დიდი სამზადისი უძღოდა წინ. ქართული ჟურნალის გამოცემა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისათვის აუცილებლობად იყო ქცეული. მისი სახელწოდებისა და პროგრამის შესახებაც საგანგებოდ მოულაპარაკებიათ გულშემმატიკივარ ქართველ მოღვაწეებს. ეს საქმე, ქართული თეატრის დაარსებისა და საყოველთაო ავტორიტეტის მოპოვების შემდეგ, გიორგი ერისთავს დაევალა. მან, იმპერატორთან შუამდგომლობა ჟურნალის გამოცემის ნებართვის მიღების შესახებ, კავკასიის მეფისნაცვალს, მიხეილ ვორონცოვს სთხოვა.

იმპერატორმა, რომელიც საგანგებო ნდობით ეპყრობოდა მ. ვორონცოვის შუამდგომლობებს, მაშინვე, 1851 წელსვე, დააკმაყოფილა გ. ერისთავის თხოვნა; იმ პირობით, რომ ჟურნალი უნდა გადაესინჯა კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომ მასში არ დაბეჭდილიყო პოლიტიკურად არასაიმედო სტატიები და განცხადებები.

„ცისკრის“ გამოსვლამ საკმაოდ დაიგვიანა. მისი პირველი ნომერი 1852 წლის იანვარში გამოვიდა. ასეთი დაგვიანების მიზეზი ხელისმომწერთა სიმცირე და უსახსრობა იყო. მაგრამ გ. ერისთავს მ. ვორონცოვი შეეწია და წმ, ნინოს სახელობის სასწავლებლისათვის (რომელიც მისი მეუღლის მფარველობის ქვეშ იყო) ასი ცალი ჟურნალი გამოწერა, რამაც

რედაქციას 500 მანეთი შემოსავალი მისცა წლიურად. ეს იყო ერთგვარი სუფსიდია, რომელმაც უზრუნველყო ჟურნალის გამოსვლა მთელი ორი წლის მანძილზე.

ჟურნალს ჰქონდა ოთხი ძირითადი განყოფილება: პოეზია, პროზა, სწავლა და ხელოვნება, სოფლური სახლის პატრონობა.

„ცისკრის“ პირველი ნომერი დაიბეჭდა სტამბაში, ხოლო შემდეგი ნომრები – კავკასიის „ნამესტნიკის“ კანცელარიის სტამბაში. საკუთარი სტამბის უქონლობა ჟურნალის გამოცემას აძნელებდა, მაგრამ ვორონცოვმა ერისთავს საბეჭდი მანქანა აჩუქა და მისი მეშვიდე ნომერი უკვე დაიბეჭდა „საბეჭდსა შინა გ, ერისთავისა“. ამის შემდეგ „ცისკარი“ გ. ერისთავის სტამბაში იბეჭდებოდა, თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო, იყო შემთხვევები, როცა ის კვლავ „ნამესტნიკის“ კანცელარიის სტამბაში იბეჭდებოდა (1853 წლის 1, 2, 5 ნომრები). (1, 226).

1852–1853 წწ. განმავლობაში გ. ერისთავის რედაქტორობით გამოიცა ჟურნალის 24 ნომერი. 1854 წლის „ცისკრის“ პირველი ნომერი აღარ გამოსულა, თუმცა 1853 წლის მეთორმეტე ნომერში ჟურნალის დახურვის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. ჩანს, რედაქციას ჟურნალის გამოცემის გაგრძელების იმედი ჰქონდა, მაგრამ ხელისმომწერთა რაოდენობა ვერ შეგროვდა და ჟურნალი შინაარსობრივად გაღარიბდა, რადგან საჭირო მასალის მიმწოდებელიც



არავინ ჰყავდა.

ასეთ პირობებში გ. ერისთავს "ცისკრის" გამოცემის გაგრძელება აღარ შეეძლო და ჟურნალის დაიხურა.

მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებისა, ივანე კერესელიძემ მტკიცედ გადაწყვიტა "ცისკრის" აღდგენა-განახლება. მას კარგად ესმოდა, რომ ამ ვითარებაში ქართული ენა და მნივნილობა ეროვნული მთლიანობისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საუკეთესო საშუალება იყო. სწორედ ამიტომ ჩაუდგა სათავეში საგამომცემლო საქმიანობას.

ივანემ თავისი მიზნები სხვა ახლობლებთან ერთად აღექსანდრე ორბელიანსაც გაანდო, რომელმაც დიდი დახმარება და თანადგომა აღმოუჩინა. პროგრამა პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-ფილოსოფიურ საკითხთა გარეშე იქნა შედგენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელი იყო ხელისუფალთაგან ჟურნალის გამოცემაზე ნებართვის მიუღებლობა. სინამდვილეში "ცისკარი" მეტად მრავალფეროვანი იყო. მეცნიერებისა და ლიტერატურის თითქმის ყველა დარგი ჰპოვებდა მის ფურცლებზე ადგილს. იმდროინდელ საქართველოში ერთადერთი ჟურნალის რედაქტორს სხვაგვარად არც შეეძლო მოქცეულიყო.

ივანე კერესელიძემ ჟურნალის გამოცემის ნებართვა ჯერ კიდევ 1854 წლის 14 ივლისს მოითხოვა ხელისუფლებისაგან (2, 27). მისი დამოკიდებულება ამ საქმისადმი ნათლად ჩანს საარქივო წყაროებში.

ერთდერთ უმთავრეს სირთულეს სტამბის უქონლობა წარმოადგენდა, რის გამოც ივანემ დახურული "ცისკრის" სტამბის შესყიდვის შესახებ თხოვნით გიორგი ერისთავს მიმართა. ეს უკანასკნელიც დაეთანხმა და 900 მანეთად მორიგდნენ, მაგრამ ივანემ სტამბის ღირებულების ერთბაშად გადახდა ვერ მოახერხა და თავდაპირველად მხოლოდ 300 მანეთი გადასცა გ. ერისთავს.

ძველნაკეთი დაზგა, რომელიც მეფისნაცვლის სტამბის ნაწილს შეადგენდა და ვორონცოვისაგან მიიღო ერისთავმა

საჩუქრად, ივანემ მოაწესრიგა, გაცვეთილი ასოები შეცვალა, ხის დანჯღრეული დაზგა ააწყო და ბეჭდვა გააჩაღა. მაგრამ გ. ერისთავმა დარჩენილი ვალის დაუყოვნებლივ გადახდა მოსთხოვა და დროებით ჟურნალის ბეჭდვაც შეაჩერებინა.

ივანემ დიდი გაჭირვებით ნაშოვნ 300 მანეთი მიუტანა ერისთავს და სტამბის "ახსნა" სთხოვა, მაგრამ გ. ერისთავი ვერ დაითანხმა.


დიდი მცდელობის მიუხედავად, ივანემ ფული ვერსად იშოვა. საგონებელში ჩავარდნილმა აღარ იცოდა, რა მოეხერხებინა, როდესაც ლამის 10 საათზე კარზე ზარი დარეკეს, უცხო კაცმა მას წერილი გადასცა, რომელშიც გიმნაზიის მასწავლებლებისაგან გამოგზავნილი 300 მანეთი იდო. გახარებულმა ივანემ ფული გ. ერისთავს გადასცა და სტამბა "ახსნევინა" (3,9).

აღ. ორბელიანი კვლავ გაუმართა ხელი ივანეს და რედაქცია თავის სახლში, არქიელის მოედანზე მოათავსა.

საარქივო წყაროების რაოდენობისა და შინაარსის მიხედვით ირკვევა, რომ ივანე კვლავ განაგრძობდა ჩინოვნიკებისათვის სტამბის და ჟურნალ "ცისკრის" აღდგენა-განახლების ნებართვის გამოთხოვნას, რომელიც 1855 წლის 30 ნოემბერს მიიღო (4,143).

"ცისკრის" გამოცემის განახლებას კიდევ ერთი წელი დასჭირდა და ჟურნალის რედაქტორობის ნებართვა საბოლოოდ ივანემ 1856 წლის დამლევს მიიღო.

1857 წლის პირველი იანვრიდან გამოსვლა დაიწყო "ცისკარმა" — „ქართულმა სალიტერატურო ჟურნალმა“. ეს ჟურნალი 1863 წლამდე ქართულ ენაზე ნაბეჭდი ერთდერთი პერიოდული გამოცემა იყო, რომელმაც მთელი ქართველი ინტელიგენციის ყურადღება მიიქცია. მის შესახებ პეტრე უმიკაშვილი წერდა: „ცისკრის“ გამოსვლა ჩვენის ლიტერატურის ბნელ ცაზე მართლა დილის წინა-



გ. ერისთავი

მორბედს ცისკრის ვარსკვლავს ჰგავს, მუდამ თვე თითო დაბეჭდილის წიგნის გამოსვლა ისეთ იშვიათს საქმეს შეადგენდა, რომ აქამდის არავის ენახა... მოხდა ბეჭდვითი დაახლოება მწერლისა, ამავე ბეჭდვის მაღლით მკითხველიც მწერალს დაუახლოვდა“ (5).

ივანემ ჟურნალის გარშემო შემოიკრიბა ქართველი მწერლები: გრიგოლ, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, ლავრენტი არდაზიანი, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ რჩეულიშვილი, რაფიელ ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, მიხეილ თუმანიშვილი, ბარბარე ჯორჯაძე, გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი), მამია გურიელი, ანტონ ფურცელაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვები. პირველად ამ ჟურნალის ფურცლებზე იხილა საზოგადოებამ ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სხვათა ნაწარმოებები.

ეკონომიკურ სიდუხჭირეს პოლიტიკური ბრძოლის სირთულეც ემატებოდა, 1857 წლიდან „ცისკართან“ დაარსებულ ქართული ლიტერატურის მოყვარულთა არალეგალურ წრეს ივანე კერესელიძე მეთაურობდა. მას ბრძოლა უხდებოდა როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ ცენზურასთან. „ცისკარში“ დაბეჭდილი „სალაყბო ფურცლები“, რომელსაც ავტორი „მოლაყბის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა, ყოველთვის პოლიტიკური სიმახვილით, პროგრესიულდემოკრატიული აქტუალობით გამოირჩეოდა. ამ „ფურცლებმა“ ახალი სიცოცხლე შეიტანეს განახლებულ „ცისკარში“.

სტამბის მფლობელი არაფერს ზოგავდა მის შესანარჩუნებლად. 1859 წელს ივანემ ის საკუთარი სახლის ფლიგელში განათავსა, ალექსანდრეს ქუჩაზე (ამჟამად ნინოშვილის 13-ში); ნიკოლოზ ბერძენიშვილი დანვრილებით აღწერდა მას და გაკვირვებას გამოთქვამდა: „ერთ ბენვა სტამბაში... წარმოგიდგებათ სტამბის ღარიბი, სუსტი პაროდია. შეიხედეთ: პატარა ოთახი, ორი ვინრო ფანჯრით მკრთალად გაშუქებული, იტევს სტამბას მისი მონყობილობით. ვაი-უბედურებით

მოჭუჭყულად არც თუ ახალი მონყობილობისა და მტკიცე სიმაგრის საბეჭდი დაზგაც, რომელიც მუშაობისას საბრალო ჭრიალს გამოსცემს, საღებავის ასაზელი მაგიდაც, შრიფტის კასაც და მუშებიც, ორი თუ სამი... ახალგაზრდა, ცოცხალი ბიჭები, რომლებიც აქაც ისევე გულმოდგინედ ფართიფურთობენ, როგორც ერთი წლის წინ ვენახებში ვაზებთან... განა ამ ბიჭებს შეეძლოთ, წარმოედგინათ, რომ ბედი... გუტენბერგის ხელოვნების ტაძარში მოიყვანდათ?“ (6,10).

ხშირად, უსახსრობის გამო, ივანე მუშებისათვის ხელფასის მიცემას ვერ ახერხებდა და სოფელ-სოფელ შეგროვილ სურსათს უნანილებდა მათ. მუშები სტამბას ტოვებდნენ და ივანელა იყო „ასოთამწყობი, მბეჭდავი, კორექტორი, ამკინდავიცა და ყველა სახის სამუშაოს შემსრულებელი.“ (7). მაშინაც კი, როცა მას ასოთამწყობები ჰყავდა, ნუთითაც არ შეეძლო სტამბის დატოვება, რადგან ისინი გაუნაფავნი იყვნენ (8). ამ დროს მისი დამხმარე და შემწე მეუღლე – ნინო უზნაძე გახლდათ. ოჯახის ყველა წევრი სტამბის უფასო თანამშრომელი იყო.

ასეთი ვაიდვაგლახით დაარსებულ „ცისკარს“ შემდეგ წელსაც დიდი გაჭირვება დაატყდა თავს: თითქმის ყოველ ნომერში ემუდარებოდა რედაქტორი მკითხველს – გამოენერა „ცისკარი“ და კვლავ დახურვისაგან გადაერჩინა იგი.

ივანემ სტამბის გამართვისათვის, გიორგი მუხრანსკის დახმარებით, მთავრობას 1000 მანეთი „გამოსთხოვა“, მაგრამ მალე კვლავ გაუჭირდა, რადგან „მაშინდელი შემოსავალი გასავალს ვერასდროს ვერ დაფარავდა, რედაქცია ლატაკად იყო“ (9).

1861 წელს უსახსრობის გამო ჟურნალი კვლავ დახურვის საფრთხის წინაშე დადგა. მთავრობისაგან შემწეობის მოსაპოვებლად ივანემ განიზრახა „ცისკართან“ ერთად გამოეცა ახალი სასოფლოდსამეურნეო ორგანო – ჟურნალ „ცისკრის დამატება“ – „გუთნისდღედა“ და ამ გზით მიღებული თანხა ორივე რედაქციისათვის გამოეყენებინა.

ხელისმომწერთა მოსაპოვებლად და დარჩე-



ი. კერესელიძე

ნილი ვალების დასაფარავად ივანე სოფელდსოფელ დადიოდა, ხან-ფხით, ხანდცხენით, ხანდურმით, სად არ ნახავდა კაცი ამ დაუდგრომელ „მოხეტიალე რედაქტორს“, რომელსაც მთელი საქართველო კარდაკარ ჰქონდა შემოვლილი.

ივანეს ისეთი ადგილებშიც კი მიჰქონდა ქართული წიგნი და ჟურნალ-გაზეთები, სადაც ქართულ ენაზე ნაბეჭდი მანამდე არავის ენახა.

ხშირად ხელისმომწერნი ფასის ანაზღაურებას ვერ ახერხებდნენ, თანხის ნახევარი აუკრეფავი რჩებოდა და რედაქტორს თვითონ უხდებოდა ხარჯების დაფარვა, ზარალის დასაფარავად მან სახლი და მამულები გაყიდა თბილისსა და ბოგვში, მაგრამ, მაინც ვერა გააწყო რა. 1870 წლის მარტში, ივანე იძულებული გახდა სტამბა სამი წლით იჯარით მარტირუზიანცისათვის გადაეცა, რომელმაც იგი კუკიაზე, მირზოევის სახლში განათავსა. ამ ფაქტმა უფრო გაართულა ჟურნალის გამოცემა. 1873 წლის მარტში ივანემ ვალის გასტუმრება მოახერხა და „სტამბის ყოველი კუთვნილება, გარდა ასოებისა, კვლავ დაიბრუნა, ხელახლა გამართა, ახალი ასოები ჩამოასხმევინა“, (10) და ბეჭდვა განაახლა დაქირავებულ სახლში „სალდათის ბაზარში, იარმუკაზე“. (11) გამომცემლის სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, სრულიად უსახსროდ დარჩენილმა ივანემ სტამბა ვერასგზით ველარ შეინარჩუნა და იმავე წლის ბოლოს, თავის ყოფილ მოსწავლეს – ექვთიმე ხელაძეს მიჰყიდა, იმ პირობით, რომ სტამბის ფასში მისთვის „ცისკარი“ უნდა დაებეჭდა, ექვთიმემ სტამბა ბებუთოვის სახლში განათავსა ხანის (ამჟამად გ. ტაბიძის) ქუჩაზე (12.44). ვალებში ჩაფლულმა ივანემ, სტამბის გამოსყიდვა ველარ შეძლო და სტამბას სულ მალე ჟურნალიც მიჰყვა. უსახსრობას ზედ დაერთო ივანეს ავადმყოფობა. 18 წლის არსებობის შემდეგ – 1875 წლის მეორე ნახევრიდან „ცისკარი“ დაიხურა და რედაქტორ-გამომ-

ცემელს აურაცხელი ვალები დაუტოვა.

„ცისკრის“ მნიშვნელობის შესახებ გაზეთი „ივერია“ წერდა: „ივანე კერესელიძის „ცისკრის“ დაარსებით „ჩვენი ცხოვრების ახალი ხანა დაიწყო, როდესაც საზოგადოება და მწერლობა მოქმედებას იწყებს მხოლოდ თავის გულით და თავის იმედით და არა სხვის მოლოდინით“ (13).

„ცისკარმა“ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა სალიტერატურო ენისა და მწერლობის განვითარებაში. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ცისკარმა“ აკვნობა გაუწია ყმანვილ მწერლებს“ (14.221).

„ცისკარი“ უძველესი ქართული კულტურის დაცვისა და სამშობლოს უკეთესი მომავლის მიღწევის ერთადერთ საიმედო იარაღს წარმოადგენდა. მან საძირკველი ჩაუყარა ქართულ ჟურნალისტიკას, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩვენი საზოგადოების ეროვნული შეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცებაში, ქართული მწერლობისა და სალიტერატურო ენის განვითარებაში.

1. გამეზარდაშვილი დ. ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან. – თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა, 1953.
2. ცისკარი. – 1857. – 4.
3. ზ.ა. [ჭიჭინაძე ზ.]. ივ. კერესელიძე: 1829–1893. – თბ.: სტ. „გუტენბერგი“, 1902.
4. იხ. იგივე ნაშრომი.
5. ივერია. – 1893. – 4.
6. ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის: ქრესტომათია; ტ.1. – თბ.: სამეც.-მეთოდ. კაბდტი, 1954.
7. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი: საბ. 13457.
8. ცისკარი. – 1868. – 10.
9. ზ.ა. [ჭიჭინაძე ზ.]. ივ. კერესელიძე: 1829–1893. – თბ.: სტ. „გუტენბერგი“, 1902.
10. ცისკარი. – 1873. – 3–4.
11. ცისკარი. – 1873. – 5–6.
12. გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა: ტ.1; საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის. – თბ.: სახელგამი, 1941.
13. ივერია. – 1893. – 4.
14. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად: ტ.3. – თბ.: სახელგამი, 1953.

როგორც ჩვენი ჟურნალისათვის გახდა ცნობილი, ავტორთა დიდი ჯგუფი ამზადებს გამოცემას ჩინეთის შესახებ, რომელშიც ერთი თავი მიეძღვნება ნიგნიერებისა და საბიბლიოთეკო – ბიბლიოგრაფიულ საქმეს. ხსენებული ნიგნი თავისი ხასიათით განზრახულია იყოს საინფორმაციო-საცნობარო გამოცემა და გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო ფენებისათვის. ერთი თავის ტექტის მცირედ შეკეთებულ ნაწყვეტს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს მათი ინტერესების გათვალისწინებით.

**წინელი მელქაძე, ლიუ-ყანდარელი კუანვენი, ალექსანდრე ლორია, ლალი ჯანგველაძე, დარეჯან კოტეტიშვილი, გურამ თაყნიაშვილი.**

## ქველი ჩინური წიგნი და საწერი მასალა

ძველი თქმულება ამბობს: "სიტყვები უჩინარდება, დანერვილი რჩება..." ჩინურ ლიტერატურულ წყაროებში აღნიშნულია, რომ თავდაპირველად ჩინელთა წინაპრები კვანძურ დამწერლობას იყენებდნენ. ძირითადად ერთად შეკინძულ ხის ფირფიტაზე წერდნენ, მაგრამ, გარდა ამისა, იყენებდნენ აგრეთვე კუს ჯავშანს, ცხოველების ძვლებს (უპირატესად ბეჭს), ხისა და ბამბუკის დაფებს. აღმოჩენილ ძვლებსა და ჯავშნებზე ამოკვეთილი დაახლოებით ათი ათასი ტექსტის ფრაგმენტი შანის დინასტიის ხალხის დამწერლობითი კულტურის უძველესობაზე მეტყველებს. იგი ყველაზე ძველია აღმოსავლეთში. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ერთი ფრაგმენტი, რომელიც გვამცნობს: "ჩვენ ჩავატარეთ რიტუალი და მსხვერპლად მივიტანეთ საკურთხეველზე "მისტიური ფრინველი" (ფასკუნჯი).

შანის დინასტიის ეპოქის დამწერლობის სისტემა უძველესია თანამედროვე ჩინური გრაფემების წინამორბედად ცნობილ სისტემათა შორის. ცნობილია შანის 3000-ზე მეტი გრაფემა, რომელთაგან მხოლოდ 800 არის ინტერპრეტირებული და თანამედროვე ნიშანთა დახმარებით ამოკითხული. დასაშვებია, რომ შანის დინასტიის მმთარველობის დროს წერდნენ აბრეშუმზე, ხეზე, ბამბუკზე, მაგრამ ამგვარი ტექსტები არქეოლოგიისათვის ცნობილი არ არის.

ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად ნიგნი კულტურის განვითარებასთან ერთად, განიცდიდა ცვლილებებს როგორც ფორმით, ისე

მასალის თვალსაზრისითაც.

ჩინური ლიტერატურა მსოფლიოში ერთდერთი უძველესია, ხოლო აღმოსავლეთში ყველაზე ძველი. მისთვის დამახასიათებელია სრული თვითმყოფადობა. ჩინური ლიტერატურის განვითარება უწყვეტად მიმდინარეობდა ჩინეთის მთელი ისტორიის მანძილზე. გააჩნდა რა დამწერლობითი ძეგლები ძვ. წელთაღრიცხვის XIV საუკუნეიდან, ჩინელებმა შეძლეს კულტურული მემკვიდრეობისა და, კერძოდ, დამწერლობის ტრადიციების შენარჩუნება ათასეული წლების განმავლობაში.

უძველეს ნიგნებს მიეკუთვნება ძვ. წ. I და II ათასწლეულებით დათარიღებული არქეოლოგიური მონაპოვარი – წარწერებიანი ბრინჯაოს საგნები და ძვლები. სავარაუდოდ, ამ პერიოდში წერისათვის ჩინელები ბამბუკისა და ხის დაფებსაც იყენებდნენ. უტყუარი ცნობების მიხედვით, ქერქისაგან გათავისუფლებული და ცეცხლზე გამომშრალი ხის თუ ბამბუკის ფირფიტები ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე გამოიყენებოდა როგორც ნიგნებისათვის, ისე ოფიციალური დოკუმენტების შესადგენად. ბამბუკის ფირფიტებსა და დაფებზე წერითი ნიშნები იკვეთებოდა საჭრეთელი დანით ან პირდაპირ ინერებოდა ხის წვენი ლაქში ამოვლებული წამახვილებული ჩხირით. ფირფიტები ვინრო ზოდებად – თამასებად მზადდებოდა, რომელზედაც ეტეოდა ერთი, უკეთეს შემთხვევაში – ორი სტრიქონი. ზოგ შემთხვევაში იყენებდნენ თამასის ორივე მხარეს. სტრიქონში ნიშანთა რიცხვი დამოკიდებული იყო თამასის ზომაზე.

საშუალოდ ის მერყეობდა 8–დან 30–40–მდე, როდესაც ტექსტისათვის საჭირო იყო რამდენიმე თამასის გამოყენება, ფირფიტის ბოლოში აკეთებდნენ ხვრელს, რომელშიც ამაგრებდნენ თასმას ან ჩვეულებრივ თოქს, რომლითაც შეკინძავდნენ თამასებს საჭირო რიგის დაცვით.

რა თქმა უნდა, თამასები წერისათვის არ იყო მოხერხებული. უპირველეს ყოვლისა, მოითხოვდა ტექსტის ზედმიწევნით ეკონომიურად განთავსებას, რაც ართულებდა მის წარმოებასაც, თუმცა ამან თავისებური ზეგავლენა მოახდინა ძველი ჩინური ლიტერატურის სტილსა და ენაზე, ლაკონური მეტყველების გამომუშავებაზე. გარდა ამისა, ამგვარ მასალაზე წერა განსაკუთრებულ პროფესიული დაოსტატებას მოითხოვდა და დიდი მოცულობითაც გამოირჩეოდა. ცნობილია ერთი ფაქტი: ხანის დინასტიის (ძვ. წ. 206–ახ. წ. 220 წწ.) ერთდერთმა ლიტერატორმა – დუფან შომ იმპერატორისათვის სტატია ხის სამი ათას თამასაზე დაწერა.

შედარებით ყველაზე მოხერხებულ მასალას აბრეშუმის წარმოადგენდა. მან ჩვენს ერამდე 3 საუკუნით ადრე შეცვალა თამასები და კვლავ დიდხანს გამოიყენებოდა ქალაქის გამოგონების შემდეგაც. აბრეშუმის მასალაზე წერისას უკვე იყენებდნენ ბენვის ფუნჯს. ის მზადდებოდა სპეციალურ ჯოხზე ბენვის იმგვარად გადახვევით, რომ ზემოთ მცირე ნაწილი დარჩენილიყო საწერად. ამგვარ საწერ მოწყობილობას "ძიუან"-ი ეწოდებოდა (შეესატყვისება რომაულ – "volumen"-ს; ჩინურად ნიშნავს "გადახვევას", "შეკვრას"). სხვათა შორის, "ძიუან"-დი გვიანდელ ჩინურ წიგნებში თავების აღწმინდვებზე სიტყვასაც წარმოადგენდა.

ხანის ორივე დინასტიის დროს დაფების გამოყენება აბრეშუმთან ერთად ხდებოდა, რასაც ლიტერატურული წყაროები ადასტურებს.

მოგვიანებით უკვე ჩნდება ქალაქი. მისი წარმოშობა დაკავშირებულია აბრეშუმის წარმოებასთან. როგორც ცნობილია, აბრეშუმის ქვის პარკებისაგან ხარშვის შედეგად

გამოიყოფა ე.წ. აბრეშუმის ბამბა. მასში ურევენენ აბრეშუმის ნაკუნებს. ამ ზედაპირზე და პრესის ქვეშ აშრობდნენ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ნამდვილი ქალაქი, თუმცა ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა. მისგან წარმოებული პროდუქცია იქცა სწორედ მსოფლიოში პირველი ქალაქის წინაპრად.

ძვ. წ. III საუკუნეში ჩინეთში აბრეშუმის შეცვალეს მეტად იაფი და ხელმისაწვდომი მასალით – მცენარეული ბოჭკოებით. ამისათვის იყენებდნენ თუთის ხის დანაყილ ქერქს და ბამბუკის დასველებულ ნორჩ ღეროებს. ამ სავსებით ახალმა, იაფმა და წერისათვის მოხერხებული მასალისაგან მიღებულმა ქალაქმა ნიგნის საქმეში სრული გადატრიალება მოახდინა.

ხის ქერქის, მერქნის, ხრალის, ძველი სათევზაო ბადეებისა და ჩვრებისაგან დამზადებული ქალაქის გამოგონებლად ცაი ლუნი ითვლება. სწორედ ამ ქალაქს ეწოდა "ცაი ლუნის ქალაქი" ანუ "ცაი ჯი"-ს სახელწოდება, რომლითაც მოგვიანებით აღინიშნებოდა სიტყვა "ქალაქი" თანამედროვე გაგებით, ქალაქის გამოგონების ოფიციალურად მიღებული თარიღი ძვ. წ. 105 წელია, თუმცა XX საუკ. 50 და უფრო გვიანდელი არქეოლოგიური გათხრები, როცა უახლესი ტექნიკური საშუალებებით ნაპოვნი და თანამედროვე მეთოდებით გამოკვლეული უძველესი ქალაქი იქნა შესწავლილი, მეტყველებს იმაზე, რომ ჩინური ქალაქი დამზადებული უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამრიგად, ქალაქის ასაკი 150–200 წელზე უფრო მეტი ხნისაა. ამგვარად, ცხადია, ცაი ლუნი ქალაქის პირველი გამოგონებელი კი არ იყო, არამედ უფრო მოსალოდნელია, რომ ის წარმოადგენდა ნიჭიერ რაციონალიზატორს, რომელმაც შეძლო ბევრი ჩვენთვის უცნობი ხელოსნის გამოცდილების განზოგადება. მისი მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან შეძლო მიეღო თხელი, დახვეწილი ქალაქი, რისთვისაც გამოი-

ყენა სწორკუთხოვან ჩარჩოზე გაბმული აბრეშუმის ძაფების ბადე (შესაძლებელია სხვა მასალაც), აგრეთვე ქვის როდინი და ხის პრესი დაღობილი და ცხელ წყალში მოხარშული ახალგაზრდა ბამბუკისა და თუთის ხის ნაპობების, ჩალის ღეროების ნაჭრების, ზოგიერთი ბალახის ნაკუნების დასანაყად, დასანურად და გასაბრტყელებლად.

ცაი ლუნის გამოგონებისა და მისი ვინაობის შესახებ ლაპარაკია არა მარტო ჩინურ მატთანებში, არამედ სხვა წყაროებშიც. მასზე ლეგენდები და თქმულებები დადის, ქალაღდის გარდა, მას მიანერენ სხვადასხვა საბრძოლო იარაღის გამოგონებასაც. ხო-ს იმპერატორობის დროს ის საიმპერატორო არსენალის დირექტორის თანამდებობაზე მსახურობდა, აგრეთვე სასახლის მეთვალყურეც ყოფილა. გასაკვირი არაა, რომ მის შესახებ ბევრი უზუსტობა რომ არის, მით უმეტეს, ცაი ლუნის ბიოგრაფია არა მისი მომსწრეთა მიერ იქმნებოდა, არამედ მრავალი საუკუნის შემდეგ.

თავდაპირველად ქალაღდი მხოლოდ საწერ მასალად გამოიყენებოდა, მაგრამ პირველი ათასწლეულის შუა ხანებში ჩინეთში ქალაღდის გამოყენება უკვე საყოველთაო ხასიათს იღებს, გამოიყენება საყოფაცხოვრებო დანიშნულებითაც, ტუალეტისთვისაც კი. ამკარა უპირატესობის მიუხედავად, ქალაღდმა თავდაპირველად ფართო აღიარება ვერ ჰპოვა; თამასითა და აბრეშუმის ფართლით სარგებლობა ძალიან დიდხანს გრძელდებოდა. I და III საუკუნეებში (აღმოსავლეთ ხანის დინასტიის მმართველობის დროს) ხის დაფები და აბრეშუმის ბამბა მაინც რჩებოდა საწერ საშუალებად და მასალად. ქალაღდმა ფართო გავრცელება ჰპოვა. ტანის ეპოქაში ქალაღდს უკვე კანაფის, თუთის ხის, ბამბუკისა და ზოგჯერ ვარდის ბუჩქისაგანაც ამზადებდნენ. მას სხვადასხვაფერად ლებადნენ და მრავალფეროვან სახეობას ქმნიდნენ, მაგალითად, ტანის ეპოქის ერთდერთი ყველაზე საუკეთესო

ხარისხის ქალაღდი თხელი, მტვრევადი ოქროსფერი - მოყვითალო იყო. ხანდახან ქალაღს კეთილსურნელოვანი სასხურებით ჟღენთავდნენ. მაგრამ ყველაზე მდიდრულ ნიგნად მაინც აბრეშუმზე შესრულებული ნიგნი ითვლებოდა. VI-VII საუკუნეებში ჩინეთში უკვე მიმოქცევაში ქალაღდის ფული („მფრინავი მონეტები“) შემოდის. მას განსაკუთრებულად მაღალ ხარისხოვან ქალაღდისაგან ამზადებენ. ისინი თავიანთი გაფორმებითა და ხარისხით დღემდე ანცვიფრებს მხილველთ. ქალაღდის ფულს ევროპელები (ფრანგები) მხოლოდ ათასი წლის შემდეგ გაეცნენ. ეს იყო პირველი ქალაღდის ფული კაცობრიობის ისტორიაში.

ჩინეთს მეცნიერებასა, ტექნიკასა, განათლებასა და კულტურაში ჯერ კიდევ მანამდე ჰქონდა უდიდესი მიღწევები, ვიდრე მისი მეზობელი ხალხები მაღალ ცივილიზაციას ეზიარებოდნენ. ისინი ჩინელებისაგან სწავლობდნენ თითქმის ყველაფერს - დაწყებული ხელოსნობით - სახელმწიფოს მონყობის პრინციპებით გათავებული. შორეული აღმოსავლეთის შედარებით ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის ჩინეთის ძველი, შემდეგ კი შუასაუკუნეების კულტურა იმას წარმოადგენდა, რასაც ევროპისათვის ანტიკური კულტურა; როგორც შუა საუკუნის ევროპაში ლათინური, ისე შორეულ აღმოსავლეთში ჩინური ენა იყო დიპლომატიური, სამეცნიერო და რელიგიური ურთიერთობის საშუალება. მისი ცოდნა, ისე როგორც ჩინეთში მოგაზურობა, ითვლებოდა განათლებულობისა და დახვეწილობის ნიშნად.

ამგვარად, ჩინეთში ქალაღდი შექმნის ადრეულ პერიოდშივე სხვადასხვა დანიშნულებით უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. მაგრამ ეს მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც მან თავიდანვე შეაღწია. მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში, გარდა ქალაღდის შემსყიდველი ზოგიერთი აზიური ქვეყნისა, დიდი ხნის განმავლობაში არავის არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა მასზე,

ან, ყოველ შემთხვევაში, თუ იცოდნენ, მხოლოდ ყურმოკვრით.

ჩინეთს არაუსაფუძვლოდ საყვედურობდნენ თავიანთი მიღწევების გასაიდუმლოებისათვის. ეს ქალაქის გამოგონებასაც ეხება. ჩინელებს არ სურდათ სხვისთვის გაეზიარებინათ ქალაქის წარმოების ტექნოლოგია. საუკუნოებით ახერხებდნენ დაეცვათ თავიანთი სამეცნიეროდტექნიკური პროგრესის მიღწევის საიდუმლო. უმძიმესი სასჯელის შიშით იკრძალებოდა უცხოელისათვის ქალაქის დამზადების ხერხის საიდუმლოების გამჟღავნება.

ძველებური ქალაქი ძალზე მტკიცე და გამძლე იყო. ის რამდენიმე ათას პრესს უძლებს. სხვათა შორის, სწორედ ამგვარ ქალაქზე („ვაში“) დაინერა სამშვიდობო ხელშეკრულება პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას.

ქალაქი სხვადასხვა ქვეყანაში ეთბაშად არ შესულა. ამა თუ იმ ქვეყანაში მისი გამოჩენის ზუსტი დროის განსაზღვრა ძალზე ძნელია, მაგრამ მიახლოებით მაინც ხერხდება იმის დადგენა, თუ რომელ ქვეყანაში როდის მიეცა სათავე ქალაქის გამოყენებას. მაგალითად, ინდოეთში ეს უნდა ყოფილიყო ძვ.წ. VII საუკუნეში. აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში VIII-IX საუკუნეებში არაბულ სამყაროში ქალაქის დამკვიდრებას ერთმა შემთხვევამ დაუდო სათავე. ცნობილია, რომ როდესაც აზიის, აფრიკისა და ევროპის დაპყრობილ მიწებზე VIII-IX საუკუნეებში ჩამოყალიბდა დიდი და ძლიერი სახელმწიფო – არაბეთის ხალიფატის სახით, ის დაპყრობითი ომების გარდა, ჩინეთს კულტურულ მემკვიდრეობის მიღებისა და დამკვიდრების თვალსაზრისითაც ეჯობებოდა. 751 წელს თურქისტანში, მდინარე ტალასზე, სამარყანდის მახლობლად, ბრძოლა გაიმართა არბებსა და ჩინელებს შორის. ლეგენდის თანახმად, ჩინელ ტყვეთა შორის აღმოჩნდნენ ქალაქის დამამზადებელი ოსტატებიც. მათ გაუმხილეს არაბებს ქალაქის დამზადების საიდუმლო. ეს დაუყოვნებლივ

აცნობეს ხალიფას. მან ბრძანა, სამარყანდში მყოფ ნაცვალს ტყვე ჩინელები დედაქალაქში ბაღდადში გადაეგზავნა.

793 წელს გარეს აღრაშიდმა ბაღდადში ჩაყვანილ ჩინელ ოსტატებს ქალაქის წარმოება დააწყებინა. წერისათვის საჭირო ამგვარ რბილ მოსახერხებელ მასალაზე ესოდენ დიდი მოთხოვნა უდავოდ განპირობებული იყო ხალიფატში კულტურის, ხელოსნობის, ვაჭრობის განვითარებისა და მხატვრული ლიტერატურის გაფართოების მისწრაფებებით.

არაბული სამფლობელოების ქალაქში მდიდარი წიგნსაცავები არსებობდა. არაერთ ქალაქებში მდიდარი წიგნსაცავები არსებობდა. არაერთ დიდგვაროვან პირს და სასულიერო მოღვაწეს გააჩნდა ბიბლიოთეკა. ზოგიერთ ხალიფას პირად ბიბლიოთეკაში რამდენიმე ასეულდათასობით ხელნაწერი ჰქონდა. VIII საუკ. დასასრულსა და IX საუკ. დასაწყისში არაბეთის ხალიფატში ქალაქის წარმოება უკვე სიახლეს აღარ წარმოადგენდა. ბაღდადის შემდეგ მისი დამზადება დაიწყო დამასკომ და ტრიპოლმა. ქალაქის სახელოსნოები გაჩნდა იემენსა, ეგვიპტესა და მაროკოში. IX საუკუნეში ქალაქის წარმოება დაიწყეს მაიას ტომებმა ამერიკაში. X საუკუნეში ქალაქმა აფრიკის კონტინენტის დიდი ნაწილი მოიცვა.

ჩინელ მეცნიერთა მტკიცებით, ქალაქის სწრაფ გავრცელებას აფერხებდა ხალხთა განუვითარებლობა, გეოგრაფიული სირთულეები, კულტურული გაუცხოება, მოთხოვნილებათა არაერთგვაროვნება. მაგრამ ქალაქის გზას მაინც იკვლევდა, თუმცა ძალიან აუჩქარებლად – 100 წელიწადში 100 კილომეტრს ძლივს ინაცვლებდა. თუ ბაღდადში ის დაახლოებით 800 წელს გამოჩნდა, ქაიროში მისი დაზადება 1100 წელს დაიწყეს. მე-11 საუკუნისათვის ინდოეთსა და მთელ არაბულ სამყაროში აქტიურად იყენებდნენ ქალაქს სხვადასხვა დანიშნულებით. ცნობილი ფაქტია, რომ ირანელმა მოგზაურმა ნასირა ხოსროვმა 1035 წელს ნახა, ქაიროს ბაზარზე გამყიდველები როგორ ფუთავდნენ



ქალღმერთით საქონელს, რამაც ეტყობა მისი გაოცება გამოიწვია.

არაბეთის სახელმწიფოში ქალღმერთს ყველგან ინტენსიურად იყენებდნენ. მას განსაკუთრებით აფასებდნენ წიგნების გადამწერები. ბიბლიოთეკები სიამოვნებით იღებდნენ და იცავდნენ თავიანთ ფონდებში ქალღმერთის წიგნებს. გადამწერებს უღივნი სამუშაო ჰქონდათ. ცნობილია, რომ ზოგიერთი ბიბლიოთეკისათვის წელიწადში 18 ათასი წიგნი გადაიწერებოდა. უკვე 794 წელს ხალიფა ხარუნ ალდრამიდას კანცელარიიდან მთელ სახელმწიფოში მაცნეებს ქალღმერთზე დაწერილი ბრძანებები მიჰქონდათ.

ჩინეთში შემუშავებული ქალღმერთის დამზადების ტექნოლოგია ევროპაში ეგვიპტიდან შევიდა. ქალღმერთი პირველად ბიზანტიაში ჩნდება, შემდეგ – სიცილიაში. ახალ საწერ მასალას არბებისაგან ყიდულობდნენ. ევროპაში საკუთარი ქალღმერთის წარმოება მხოლოდ XI საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. თანამედროვე ესპანეთის ტერიტორიაზე VII-XI საუკუნეებში მავრიტანული კულტურის უმსხვილესი ცენტრი ჩამოყალიბდა. გადაიღეს რა თავიანთი დამპყრობლებისგან ქალღმერთის დამზადების ხელოვნება, ესპანეთი იქცა პირველ ევროპულ ქვეყნად, სადაც საკუთარი ქალღმერთის წარმოება დაიწყო. ესპანური ქალღმერთის დამზადების თარიღად 1051 წელი სახელდება.

რაც შეეხება ეტრატს, არაა ცნობილი, ტანის ეპოქის ჩინეთში მოხვდა თუ არა დასავლეთიდან პერგამენტის რომელიმე სახესხვაობა, მაგრამ ჩინელებმა რომ იცოდნენ მისი არებობა ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-2 საუკუნიდან, ნათელია. ცნობილი მოგზაური ჩუან ციანი იტყობინება, რომ ევროპელები წერდნენ ჰორიზონტალური სტრიქონებით ცხოველთა ტყავზე. წერილთათვის ტყავს აქტიურად იყენებდნენ შუა საუკუნეების დასაწყისში ხათენებიც (ხეთები). თვით ჩინეთში კი მის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენდნენ.

ტანის დინასტიის ეპოქაში ჩინეთში

კარგად იცნობდნენ აგრეთვე სხვა მასალასაც. ეს იყო სამხრეთ აზიური პალმის ფოთლები. ტანის ჩინეთში მას იცნობდნენ სახელით „პატტრა“, რაც სანსკრიტულად „ფოთოლს“ ნიშნავს. ოფიციალური „ტანის ისტორია“ გვამცნობს, რომ ინდოელები აწარმოებდნენ რა კვლევას ასტრონომიასა და მათემატიკაში, „პატტრას ფოთლებზე წერდნენ, მოვლენები რომ აღწერათ“. დუანდჩენდში, რომელიც ამ ნასესხები სიტყვის სწორ ეტიმოლოგიურ განმარტებას იძლევა, ამ მცენარეს აღწერს როგორც მარადმწვანე მაჰადისს ხეს, ალბათ იმიტომ, რომ პალმის ფოთლებისაგან წიგნის დამზადება მთავარი ხელობა იყო მაჰადისში. დუანდჩენდში დამატებით აცხადებს, რომ ფრთხილად მოპყრობის შემთხვევაში ხელნაწერი პალმის ფურცლებზე ხუთასიდექსასი წლის მანძილზე ინახებაო.

ტანის დედაქალაქის მცხოვრებლებს საშუალება ჰქონდათ თავისუფლად ენახათ ხე, რომელიც ასეთ სასარგებლო ფოთლებს ისხამდა. ის ჩამოტანილი იყო ერთდერთი დასავლეთის ქვეყნიდან. დარგეს ბუდისტური ტაძრის მიწაზე და „დორბის აღზევებას“ უწოდებდნენ. ფოთლებისაგან დამზადებულსა და დამუშავებულ წიგნებს „ოლლას“ ეძახდნენ. მათ ორ ყდადდაფას შორის – „ინდურ პრესში“ ათავსებდნენ, როგორც მას ტანის ეპოქაში უწოდებდნენ. ამგვარი წიგნები აუცილებლად განსაკუთრებულად უნდა წაკითხულიყო, რამდენადაც ის იმ ენაზე იწერებოდა, რომელიც „იგივე იყო, რაც ბუდას მეტყველება“. ჩინელი ოსტატებისათვის ამ წმინდა ფოთლების „სიტყვა“ მშვენიერი ეგზოტიკური ნიმუში იყო, რომელიც ხშირად ჰპოვებდა ასახვას ლექსებში ბუდისტური სათნო ატმოსფეროს გადმოსაცემად. პალმის გული და ფოთლები ერთგვარ არომატსაც იძლეოდა და სასიამოვნო შეხების გრძობასაც დასავლეთის თბილი ქვეყნების რელიგიასთან.

მიუხედავად უხვი ადგილობრივი რესურსებისა, ჩინეთში ასევე გამოიყენებოდა სხვა ქვეყნების ქალღმერთის მრავალგვარი

სახეობა. ტანის პოეტები ხშირად იხსენებდნენ „ბარბაროსელ (მანის) ქალაქს ჩასანიშნად“. კორეის სახელმწიფო ბეგარის სახით აგზავნიდა ჩინეთში ქალაქის გრაგნილებს. იაპონიაში ქალაქს ფიჭვის მერქნისაგან ამზადებდნენ. ჩინეთის სამხრეთის ქვეყნებიდან ზღვის წყალმცენარეებისაგან დამზადებული თეთრი ქალაქი შემოდოდა, რომელსაც „გრეხილ-ძარღვიანს“ უწოდებდნენ.

ჩინეთში ქალაქის გამოყენებას ნიგნის ფორმაზე, რომელსაც გრაგნილის სახე ჰქონდა, არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია. ფურცლის ზოდებს აწებებდნენ ერთმანეთს და ერთიან გრაგნილს ქმნიდნენ, ის გადაეხვეოდა მასზე მიმაგრებულ ჯოხზე (ღერძზე), რომლის ბოლოებიც ოდნავ სცდებოდა გრაგნილის კიდეებს. ამგვარ ჯოხს ფიჭვის ხისაგან ამზადებდნენ და სხვადასხვაფრად ღებავდნენ, იმის მიხედვით, თუ რომელ განყოფილებას მიეკუთვნებოდა ესა თუ ის ტექსტი. მდიდარ პირთა ნიგნსაცავები-სათვის მნიშვნელოვანი ნიგნების ღერძი-ჯოხი სპილოს ძვლის, კუს ჯავშნის, მარჯნის, ვერცხლისა თუ სხვა ძვირფასი მასალისაგან მზადდებოდა და ბოლოებში ბროლის ბურთულაკები უკეთდებოდა.

ნიგნების საკვალიფიკაციო სისტემა ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა. განყოფილების გამოსაყოფად სპილოს ძვლისაგან დამზადებული ფერადი იარლიყები გამოიყენებოდა. (მასზე დანერილი იყო სახელწოდება და ნიგნის ნომერი). „კლასიკოსებს“ ჰქონდათ წითელი იარლიყები, სპილოს თეთრი ძვლით ინკუსტრირებული ღერძულა ჯოხები და ყვითელი ფერის შესაკვრელი ზონრები;

გრაგნილების საწყის მხარეს მაგრდებოდა ღერძი, ხოლო ბოლო ნაწილს მიწებებული ჰქონდა ქალაქი ან ნაჭერი, რომელიც გრაგნილს შემოეხვეოდა და ამგვარად იგი თავისებურ „ყდას“ წარმოადგენდა. ის ხელნაწერს დაზიანებისაგან იცავდა. ამ „ყდის“ კიდეზე მაგრდებოდა ჩვეულებრივი თასმები გრაგნილის

შესაკრავად. ცალკეული გრაგნილი ერთ თხზულებას შეადგენდა, ინახებოდა სპეციალურ გარსში. გრაგნილის სიგრძე დაახლოებით 10 მეტრს აღწევდა. 1000 და მეტი წლის ზოგი ეგზემპლარი დღესაც როგორც ახალი, ისე გამოიყურება. გრაგნილების უმრავლესობაში სტრიქონები გამოყოფილია ხაზებით, რომლებიც ტყვიის ან მსგავსი ნივთიერებისაგან ინახებოდა და არა ტუშით. რაც შეეხება ცალკეულ სტრიქონზე ნიშანთა რაოდენობას, ყველაზე ხშირად სტრიქონი 17 ნიშნისაგან შედგება, თუმცა არსებობს გრაგნილები შედარებით მეტი რაოდენობის ნიშნებითაც.

გარსზე, რომელშიც იდო გრაგნილი, სხვადასხვა ფერის იარლიყი მაგრდებოდა, რომლის ფერი მოცემულ საგნის რუბრიკას შეესაბამებოდა მიღებული საკვალიფიკაციო სისტემის მიხედვით. იარლიყზე აღნიშნული იყო გარსში დაცული თხზულების დასახელება. პირველ ხანებში, და ნიგნის ბეჭდვის გამოგონების შემდეგაც, მაინც გამოიყენებოდა გრაგნილის ფორმის ნიგნები. შემდეგში გრაგნილის ფორმა უმეტესად სურათებისათვის შემორჩა. მიუხედავად იმისა, რომ დაფებსა და აბრეშუმთან შედარებით, გრაგნილის ფორმის ნიგნები წინ გადაგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, მათი გამოყენება დიდ უხერხულობებთან იყო დაკავშირებული – საჭირო ხდებოდა მთელი გრაგნილის გაშლა, გადახვევა, რაც უარყოფითად ზემოქმედებდა მასალაზე – ინვევდა მის დაზიანებას.

ტანის დინასტიის დროს ხმარებაში თანდათან შემოდის ნიგნის ახალი ფორმა – კეცადი ნიგნი („გარმონი“), რასაც „გრეხილ ფურცლებს“ უწოდებდნენ. ეს სახეობა შემოღებულ იქნა უმთავრესად ლექსიკონების, ცნობარებისა და სხვა სახელმძღვანელოებისათვის, რომლებითაც სარგებლობა დაჩქარებულ გამოყენებას მოიხთოვდა. უნდა აღინიშნოს, რომ ფურცლების შეკინძვის მეთოდი (თუ კი ისინი, საერთოდ, იკინძებოდა), გაურკვეველი რჩება.

ბექდვის განვითარებასთან ერთად, ნიგნის მოძველებული ფორმები გრაფიკისა და „გარმონის“ სახით, შევიწროვდა მეტად მოხერხებული და სრულყოფილი ფორმით, რომელმაც მიიღო დასახელება „ნიგნიდპეკლა“. როგორც ცნობილია, დაბექდილი ფურცლები იკეცებოდა შუაზე და ამგვარად იქმნებოდა ორი ფურცელი (4 გვერდი).

გარე გვერდები ენებებოდა მუყაოს და ამგვარად ტექსტისთვის ორი გვერდი რჩებოდა, როგორც ორი ფრთა, სწორედ ამიტომაც შეარქვეს ამგვარ ნიგნს „პეკლა“. შემდეგში ამგვარ ნიგნებში სხვა გვერდებსაც ჩაამატებდნენ და ჩვეულებრივ ანებებდნენ: გვერდების შეკინძვა ძაფით, როგორადაც ეს შემდგომდროინდელი ნიგნების დამზადებისას იყო მიღებული, ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა. ფურცლებს უბრალო ერთმანეთს ანებებდნენ, შენებებულ ფურცლებს მოაქცევდნენ ყდაში, რომელიც აბრეშუმგადაკრული მუყაოსაგან მზადდებოდა. ზედ ანებებდნენ სხვადასხვა ფერის იარლიყს, რომელზედაც ნიგნის დასახელებასა და ნომერს ანებებდნენ. მდიდრულ გამოცემებზე ოქროვარაყით გამოჰყავდათ საჭირო მონაცემები. ზოგიერთ გამოცემაზე ამ შრომაზე პასუხისმგებელი პირის სახელიც აღინიშნებოდა.

ქრისტიანებმა ქალაქის წარმოება საგრძნობლად სრულყვეს და ამისათვის მთელი რიგი ცვლილებები შეიტანეს ქალაქის წარმოების ტექნოლოგიაში. ევროპული ქალაქი აღმოსავლურთან შედარებით გაცილებით თეთრია და ნიგნებში არა კრახმალთ, არამედ ჟელატინით მაგრდება. აღსანიშნავია, რომ ევროპაში ქალაქის წარმოება XIII საუკუნეში დაიწყო სელისა და ძონძისაგან. მათ ერთი დღედღამის განმავლობაში ალბობდნენ, შემდეგ უმატებდნენ კირს და ერთგვაროვანი მასის მიღებამდე ურევდნენ. მასას ხის ჩარჩოზე გადაჭიმულ ბადეზე ასხამდნენ და წურავდნენ, ამორებდნენ წყალს და ქვაზე აბრტყელებდნენ, მერე

ატარებდნენ წნეხის ქვეშ და ამრობდნენ. ამგვარად მიღებულ ქალაქს აპრილებდნენ და ასწორებდნენ. ზოგ შემთხვევაში ლითონის ბადეზე დებდნენ მავთულისაგან დამზადებულ გამოსახულებას. ქალაქის გამოშრობის შემდეგ სინათლის შუქზე ადვილად გამოირჩეოდა ქალაქზე ამოტვიფრული ფიგურა. ქალაქი ამ ადგილას ცოტათი უფრო მეტად იყო გათხელებული. ასეთი ქალაქის შიგა სურათი ჭვირნიში „ფილიგრანად“ იწოდებოდა. ჩვეულებრივ, გამოსახავდნენ ასოებს – მონოგრამებს (ვენზელებს), ყვავილებს, ცხოველებს, მოგვიანებით ჰერალდიკური ნიშნებიც განჩდა.

ქალაქის წარმოებაში ევროპამ აღმოსავლეთს მხოლოდ რენესანსის დროს გაუსწრო, მაგრამ არა იმდენად ნიგნების გამოცემის საქმეში, რამდენადაც სათამაშო ბანქოსა და პირველი სარეკლამო პლაკატების დამზადებასა და გავრცელებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- Китайская культура. – Пекин: изд. Университета китайского языка и культуры, 1999.
- Литература древнего свитка /В. Б. Никитина, У. В. Паевская, Л. Д. Позднева, Д. Г. Редер. – М.: МГУ, 1962.
- Саплина, Е. В., Саплин, А.И. Путешествие в историю. – М.: ЦГО, 1995.
- Сквернюков, П. Ф. В мире говорящих дисков. – М.: Знание, 1990.
- Сквернюк, П. Ф. Слово о бумаге. – М.: Московский рабочий, 1980.
- Федеренко, Н. Т. Земля и легенда Китая. – М.: Советская Россия, 1961.
- Флуг, К. К. История китайской печатной книги сунской эпохи – М. – Л.: АН СССР, 1959
- Шефер, Э. Золотые пески Самарканда: Книга о чужеземных диковинах в империи Тан. – М.: Наука, 1981.

ბიორბი სარაჯიოზილი

## სიბუჟა აკაკის „ვედრებაზე“

ბევრი რამ ითქვა დიდი აკაკის პიროვნებასა და შემოქმედებაზე, მაგრამ ამჟამად გვინდა პოეტთა მეფის – გალაკტიონის სიტყვები მოვიშველიო:

„აკაკი წერეთელი ჩვენი სამოქალაქო ლირიკის ყველაზე ძლიერი წარმომადგენელია. ეს იყო მგოსანი, რომელიც ჰკაფავდა გზას წარსულისაგან – მომავლისაკენ. თავისი ცხოვრებით და გაბედული ლიტერატურული გამოსვლებით მან უდიდესი როლის ითამაშა ქართველის ენის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. აკაკის ჩანგის მომხიბვლელობა გამოიხატებოდა იმ ზნეობრივ სიძლიერეში, რომელიც შეადგენდა პოეტის პიროვნებას! მან შესწირა თავისი თავი ერის წმიდათანმინდას – სამშობლოს“.

აკაკის ლექსზე „ლიტერატურულ საქართველოში“ ბატონი ნუგზარ მჭედლიშვილი „აუცილებელ განმარტებაში“ წერდა: „აკაკიმ სიტყვები „ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველო!“ თითქოს დიდი ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს თქვა. არასწორია. შეცდომაა... „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!“ – ეს სიტყვები (სასვენი ნიშნების ასეთი გამოყენებით) სულმნათმა აკაკიმ დიდი ილიას გარდაცვალებამდე 43 წლით ადრე, კერძოდ, 1864 წელს დაწერა ლექსში „ვედრება“.

1912 წელს კილაძის სტამბაში ი. მანსვეტაშვილის მიერ გამოცემულ „ჩემი ნაწერების“ პირველი ნიგნის, პირველ გვერდზე აკაკი წერს: „ქართველი მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზედ უფრო მეტი უბედურება – კი ჩემს ნაწერებს ეწვია: ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის

მეტი არ გამოსულა, მაშინ, როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო. ამის მიზეზი ხელმოკლეობა და დაუდევრობა იყო. რადგანაც ეს ორი მიზეზი დღეს თავიდან აცილებულია, მე თვითონ განვიზრახე სრული ჩემი ნაწერების გამოცემა ამგვრად: გამოვა თვითეული ნიგნი ორ ნაწილად. პირველ ნაწილში დაბეჭდილი იქნება ჩემი ახალი ნაწერები, ჯერ სრულიად არსად დაბეჭდილი და მეორე ნაწილში კი ძველი, უკვე სხვადასხვა ჟურნალდგაზეთებში დაბეჭდილი აქადიქ, მაგრამ გასწორებული და შენიშვნებით, თუ რა დრომ და ვითარებამ გამოიწვია ეს ანუ ის თხზულება“.

„ჩემი ნაწერების“ 142 გვერდზე, სადაც ლექსი „ვედრება“ დაბეჭდილი, „ცისკარში“ გამოქვეყნებულთან შედარებით, ბოლო სტროფის პირველ სტრიქონში სიტყვა „ჩავჰყლაპოში“, ასო „ვ“ აკლია, ხოლო ლექსის ბოლო სტრიქონში წერტილები „...“ შევსებულია სიტყვა „ფურთხით“. კომენტარებში მინიშნებულია, რომ ლექსი „ვედრება“ დაბეჭდილი იყო პირველად ჟ. „ცისკარში“ (10, 1864 წ.).

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის თვრამეტტომეულის პირველი ტომის „შენიშვნებში“ ქალბატონი ეთერ შარაშენიძე „ვედრების“ შესახებ წერს: „აკ. წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის თხუთმეტტომეულის 1 ტომში (1950) მითითებული ხელნაწერის ასლს, რომელიც დაცული უნდა იყოს ვ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივაკვლიეთ... ლექსი მიმართულია საქართველოს პრივილეგიური ჩინოვნი-



# ცისკარი.

1864

ო კ ტ ო მ ბ ე რ ი.

## წელიწადი შერგე.

წოდება თხზულებათა:

- I — განცხადება, 1865 წლის ცისკრის გამოცემისათვის წყდ.გ.
- II — მასკარადი (ლეონტოვიძის დრამა. —) დასასრული კრ. წინამძღვაროვისა.
- III — 1, პასუხი გ. ბ. ჯ. (ლეკია) თ. აკ. წერეთელისა.  
2, ვედრება. (ლეკია) მისივე.
- IV — მოქალაქე დაბალ დროს, ტერსაუბარი. კრ. წინამძღვაროვისა.
- V — ქრისტეობაზე კოლეგია. — გ. დ. — სხვა და სხვა ანაბეი. (იხილეთ მეორე ტომი).

### ცვილი

კერესელიძის ტომი

კური ნოდების წინააღმდეგ, რომელსაც იმ ხანებში უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი ეროვნული შეგნება და „მტერს პირუტყვებრ მორჩილებდა“ (ლ. ასათიანი. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. 1953);

ჟურნალ „ცისკარს“ აწერია „Дозволено цензурой, 1864 год 28 Октября“. იმ დროის ცენზურა არანაკლებად გამოირჩეოდა თავისი სიმკაცრით, ვიდრე კომუნისტებისა. მიზანში ჰყავდათ ამოღებული მწერლები, პოეტები და ის, ვისაც კალამი უჭრიდა, ასეთები კი ცოტანი

იყვნენ საქართველოში. ჟურნალ-გაზეთებიც მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა. ილიასებურად რომ ვთქვათ, ცენზურა მთელ ჯიგარს ართმევდა შინაარსს. თუ რაიმე გაეპარებოდათ, მათთვის „დახურვა“ ადვილი საქმე იყო.

ნათქვამია: „სიტყვა სარკეა, რომელშიაც გამოიხატება მთელი შინაგანი სულიერი აგებულება ადამიანისა“-ო; ლექსში ერთი სტროფის ამოღება და წერტილებით შევსება, ვფიქრობთ, ცენზურისათვის დაბრალება უხერხულია, რადგან მომდევნო სტროფის პირველივე სტრიქონი ხსნის მდგომარეობას: „შემდეგი აზრი სთქუას აქ წერტილებმა“-ო ამბობს თავადვე აკაკი. რა შეიძლება ითქვას ბოლო სტრიქონის შესახებ, რამაც ეს წერილი გამოიწვია?

### ვედრება.

მშაო შკოთხელო! მშობან გაუფრე,  
როს კაცი ნახო შენ დატყუელი,  
თუ რათა დეცა, მიზნეს ნუ ეძებ!  
შენი გალა შტეტკოვდეს გული!...  
შეტკოვდეს, მაგრამ ესეც უნდა ჰქონდეს,  
რომ დატყუელი არის ორგანი:  
ერთს ჰსურს ადგომა, უნდა თავის ხსნა,  
და მეორე კი გდაი ვიო მკუდარი!...  
ერთი მოელის კაცოვან შევლას:  
კბრძვის თეს დამგვეს, რაც შევლავს;  
მეორე კერ გრძნობას ამავეს შევლას  
და მტერს შირ-შტეტკოვდეს ემონილეს!  
პირველს თუ შევლავს, შრომა უფროსხე;  
სული მეფე, წაშოავერს;  
და მეორეს კი სულ დააფურთხოს!...  
იტოვს, მაგრამ ზურგი უნევეს!...

შემდეგი ჰაზრი სთქუას აქ წერტილმა,  
თორემ ჰემს კალამს არა აქვს ნება!...  
უნდა შონებით წავიწვევითო ხმა,  
თორემ ბატონს ჰემს ეს ეწინაა!...  
უნდა ჩაგჭვავთო სიტყვები ძალით,  
ბულს თუ დამაჯა, კერც დაგახელო!...  
ამას კი ვიტყვო, გინდა მომკიდოთ:  
„...“ ღირსი ხარ შენ საქართველოსა

თ. აკ. წერეთელი

ლექსის ბოლო სტრიქონში გამოტოვებული სიტყვის წერტილებით შევსება არც ეს არის ცენზურის გამო, რადგან პოეტს ტექსტში ადრევე აქვს ნახმარი იგივე სიტყვა, „ფურთხი“, მაგრამ ბოლოში გამონათქვამი, საქართველოსთან მიმართებაში, ახალგაზრდა პოეტს ეჩოთირება და „გინდა მომკალითო“, მაინც ვიტყვიო.

რამ აიძულა პოეტი, რომ ეს ეთქვა?

XIX საუკუნის 40-50 წლებში კაპიტალისტური სანარმოთა გაჩენისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების პირობებში გაძლიერდა გლეხთა თავდახსნის პროცესი. გლეხები ამოძრავდნენ თავისუფლების საძებნელად. რეფორმის წინ საქართველოში უკვე რამდენიმე ათასი პირადად თავისუფალი და მესაკუთრე გლეხი იყო. რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (1861 წლის 19 თებერვალი), გლეხთა მასობრივი აჯანყების ზეგავლენით, ცარიზმი იძულებული გახდა, საქართველოშიც გაუქმებინა ბატონყმობა.

საქართველოში საგლეხო რეფორმა

1864–71 წლებში, ე. ი. მთელი 7 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა. 1861 წლის მარტში პეტერბურგიდან მიღებული ინსტრუქციის საფუძველზე, მეფის-ნაცვალმა ადგილობრივ თავადაზნაურობას რეფორმისთვის მზადების დაწყება მოსთხოვა. შეიქმნა საბატონო გლეხთა მომწყობი ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტი. თავადაზნაურობამ გლეხთა განთავისუფლების დებულების პროექტის შედგენა დიმიტრი ყიფიანს დაავალა. მემამულეთა თვალსაზრისის საფუძველზე, ყიფიანმა 1863 წელს შეადგინა მოხსენება და რეფორმის პროექტი, რომელიც სამაზრო ყრილობებმა განიხილეს 1863 წლის აპრილ-ივნისში. ყრილობებზე დამსწრეთაგან 556 კაცმა პროექტი მოიწონა, ხელი კი 539 მოაწერა. დანარჩენებმა თავისი პროექტები წარმოადგინეს. მემამულეთა სურვილი იყო გლეხთა უმიწოდ განთავისუფლება. გლეხთა ინტერესების დამცველად გამოვიდნენ სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ისინი მოითხოვდნენ, რომ მიწის ნაკვეთი, რომლითაც გლეხი რეფორმამდე სარგებლობდა, მასვე დარჩენოდა სრული საკუთრების უფლებით; გლეხობისათვის მიწა არ ჩამოეჭრათ და მემამულეთა სასარგებლოდ არავითარი ვალდებულება არ დაეკისრებინათ. 1863 წლის ივლისში მთელი მასალა (მოხსენება, პროექტი და სხვა) მთავრობის მოთხოვნით, დიმიტრი ყიფიანმა წარუდგინა ამიერკავკასიის ცენტრალურ კომიტეტს.

1864 წლის 13 ოქტომბერს ნიცაში ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა ბრძანებულებას თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების შესახებ. ბრძანებულებას დართული ჰქონდა დებულებები, რომლებიც საფუძველად ედო 1861 წლის 19 თებერვლის საკანონმდებლო აქტებს. რეფორმა გლეხს პირად თავისუფლებას და თავისი ქონების სრულ ბატონ-პატრონობას ანიჭებდა. 1864–71 წლებში საქართველოში ბატონყმური დამოკიდებულებებიდან განთავისუფლდა 75.565 კომლი.

საგლეხო რეფორმამ დააჩქარა საქართველოს შემდგომი სოციალურ-ეკონომიური წინსვლა, ხელი შეუწყო კაპიტალიზმის გაბატონებას, მაგრამ ბატონყმობის შენარჩუნების გადმონაშთები (მემამულური მიწათმფლობელობა, დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი და სხვა) და რეფორმის განხორციელების გაჭიანურებული ხასიათი საგრძნობლად ამცირებდა იმ პროგრესულ მნიშვნელობას, რაც ქვეყნისათვის ბატონყმობის გაუქმებას ჰქონდა. აკაკის აზრით კი: „რა ბატონყმობის მოსპობა იყო ის მოსპობა, როცა ბატონი და ყმა, ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმული ჩინოვნიკს ეჭირა ხელში?“.

ამბობენ, გორის ერთდერთ შემალეულ ადგილზე, ბატონყმობის გადავარდნაზე მანიფესტის კითხვის დროს, ხალხში ლექსი გამოითქვა:

„ბატონყმობა გადავარდა,  
გლეხო კაცო, გაიხარე,  
აზნაურო და თავადო,  
თავში კოხი-ქვა იხალე!“

იაკობ გოგებაშვილს ბატონყმურ წყობილებაზე დაკვირვებამ ათქმევინა: „ადრე სწავლის გაგრძელებას ხალხში ბატონყმობა უშლიდა ხელსო“. ვაჟა-ფშაველა, ვინმეს თუ რაიმეს ბატონურს შეამჩნევდა, არ ერიდებოდა თქმას: „ბატონყმობა დიდი ხანია გადავარდა, შენ გინდა ისევ დაიბრუნო?“

ილია ბრძანებდა: „ბატონყმური დამოკიდებულება უსამართლო საქმე იყო“.

გამონაკლისის სახით, ლიტერატურისმცოდნეობამ იცის თითოდოროლა შემთხვევა, როდესაც ავტორს თავისი გამოწვევაში ბრჭყალებში აქვს ჩასმული. ილიას პირდაპირი გამოწვევაში, სხვაგან გამოყენებული, ბრჭყალებში აქვს მოტანილი. იგი ასევე იქცევა, როცა ფსევდონიმით გამოქვეყნებულ თავის ლექსში (პროზაში) ხელმეორედ თქმულს (გამოთქმულს, გამოყენებულს) ბრჭყალებში ათავსებს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთდღიანად ავტორს ლექსისა და პროზის ფორმით გააჩნია ნაწერები და ადვილია ადგილების შემჩნევა.

აკაკის შემთხვევაში, როცა მის ნაწერებში არ გვხვდება გრამატიკული ფორმით, სტრიქონი: „... ღირსი ხარ შენ საქართველო!“ პროზაში შეტანილი, კითხვას ჰბადებს: – აკაკის ნათქვამია ეს თუ სხვისი.

„ვედრებამ, როგორც აღვნიშნეთ, ცენზურა გაიარა 1864 წლის 28 ოქტომბერს. ცენზურისათვის სულერთი უნდა ყოფილიყო, ვინ მოაწერდა ლექსს ხელს, ასევე სულერთი უნდა ყოფილიყო ბოლო სტრიქონი თუ ვის ეკუთვნოდა

– აკაკის თუ ხალხს. იმ გაჯახირებულ ცხოვრებაში, აკაკის მიხედვით, ყმა მემამულის ხელში, ორივე ერთად – რუსი მოხელის ხელში, უკმაყოფილო იყო – გაძვალტყავებული ჩაუცმელ-დდაუზურავი, დაუპურებელი, თავბედს რომ ინყევლიდა გაჩენისათვის.

ვფიქრობ, აკაკიმ ხალხში მოარული ფრაზა ქალაქდზე გადაიტანა და ხალხის გამონათქვამი ხმამაღლა თქვა და ამიტომ ჩასვა ბრჭყალებში.

რამაზ მიწარიშვილი

## მსირა რამ მიხილ ღანიუაშვილის წიგნზე „კავკასიური პოემები“

ფიქრი, მიღმური ფიქრთა-ფიქრი მოგეახლება ამ წიგნის გაცნობისას. ვერ იპოვით მასში სტრიქონს, რომელიც ბუნებრივი არ იყოს, არ სუნთქავდეს ექსპრესიით. ეს წიგნი არის კავკასიელთა სულის ღაღადისი, ჩუმი ჩივილი და, შესაძლოა, წყნარი ნალველიც კი. ესაა მრისხანე მამაკაცური შემართების ხმა...

ბატონი მიხეილის პოემები იკითხება ადვილად, მაგრამ მოითხოვს გულისყურს, მგრძნობიარე დამოკიდებულებას. პოეტს სათქმელი მხატვრულ სახეებში აქვს გამოხატული. აქ გენიალური სისადავეა პოეზიის საფუძველთა საფუძველი. სწორედ ესაა მისი ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება. შევხედოთ ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ალექსანდრე ბატონიშვილის, მარო მაცაშვილის, შამილის და სხვათა სახეებს. ჩვენ უნდა დავიცვათ ეს სისადავე.

ბატონი მიხეილის წიგნი „კავკასიური პოემები“ ეს არის ერთგვარი გაფრთხილება, რომ ჩვენ არანაირი უფლება არ გვაქვს უარი ვთქვათ იმაზე, რაც სისხლის ფასად შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს საუკუნეების მანძილზე და რამაც მოაღწია დღევანდელობამდე.

ამაღლებულია პოეტის აზრი მრავალ ისტორიულ პიროვნებასთან მიმართებაში. ჩვენ მოკლედ ასე აღვიქვამთ მათ დახასიათებას:

ალექსანდრე ბატონიშვილი – „ძვლებად სატევარის ვადა გედო“...

მარო მაცაშვილი – „შუბოსანი ნუ გგონია, არ მომიკლა ანგელოზი“...

მიხეილ ხელაშვილი – „დამშეულ ნადირით დადიოდა“...

ქაქუცა ჩოლოყაშვილი – „დაშვებული

კალთა ჩოხის, ხმალი გაჭედილი მატანს“...

მერაბ კოსტავა – „ალმაშენების შეგშვენიოდა სპარაზენობა“...

მრავლადაა ასე მიბნეული პოემებში ავტორის შეხედულებები, და სამართლიანი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ არც ერთი მათგანის შეფასებაში ბატონი მიხეილი არ შემცდარა. რაღაც უხილავი, ძნელად გამოსათქმელი სულიერი ნათესობაა ამ წიგნსა და კავკასიელთა შორის. ამ წიგნის გმირებს რომ შეეძლოთ მადლიერების გამოხატვა, ავტორმა, რომ ასე გაითავისა მათი ფიქრთა-ფიქრები, სამადლობელი მათგან უდაოდ ერგებოდა ამ წიგნს.

„კავკასიური პოემები“ ეს არის წიგნი, რომელიც წარსულით დღევანდელობაზე გვესაუბრება. ერთმა დიდებულმა პოეტმა განაცხადა, წიგნის გადაშლამდე „სარიტუალო გალობის“ შესრულებაა საჭირო, რადგან სიბრძნედ აყვანილი რწმენით უნდა მიხვიდე მასთან. თუ ამ აზრს ვერწმუნებით და ისე გადავშლით ბატონ მიხეილ ღანიუაშვილის წიგნს, აუცილებლად აღმოვჩნდებით კავკასიელთა გალაქტიკაში.

„კავკასიური პოემები“ ეს კავკასიელთა გულიდან მომდინარე სისხლია, ათასწლეულების მიღმიდან წინაპართაგან გადმოსული სული, რომელიც ესოდენ მაღალმხატვრობითაა შესრულებული. ბოლოს, მოკრძალებით აღვნიშნავ: თუკი ჩემს აზრს რაიმე მნიშვნელობა აქვს, გირჩევთ, ვინც პოეზიის „ტრფიალებით“ განმსჭვალულხართ, ამ პოემების გაცნობას.

## ის დღესაც კარგად ახსოვთ

ძველი მუშაკები კარგად იცნობენ ბევრ ისეთ მოღვაწეს, რომელიც თავისი საქმიანობით გამორჩეულ პროფესიონალს წარმოადგენდა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი თვალსაჩინო სპეციალისტი

ნიკოლოზ იოსების ძე ჭელიძე. ჩვენი კორესპონდენტი დაინტერესდა მისი პიროვნებით და მრავალი საინტერესო მასალა მოიპოვა მის შესახებ, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო იყო მის ქალიშვილთან, ქალბატონ მზიასთან შეხვედრა. ქალბატონი მზია რამდენიმე ათეული წელია მოღვაწეობს საბიბლიოთეკო კადრების მომზადების საქმეში, ამჟამად ის არის ილ. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის პედაგოგი; ძირითადად კითხულობს ბიბლიოგრაფმცოდნეობის ზოგადსა და დარგობრივ კურსებს, იყო ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტისა და საზოგადოებრივ პროფესიათა დეკანი, სტუდენტთა სწავლებისა და აღზრდის საქმის დიდი სპეციალისტი, თვალსაჩინო პედაგოგი.



ქ-ნ მზიამ ხალისით დაგვითმო დრო და ჩვენთვის მეტად საინტერესო ცნობები მოგვანოდა.

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, დავინტერესდით ნიკოლოზ ჭელიძის წარმომავლობით – დაიბადა ის 1901 წელს სოფ. ბახვში (ოზურგეთის რ-ნი). ამ პერიოდისთვის ბახვი საქართველოში ერთდერთი ყველაზე განვითარებულ და მოწინავე სოფლად ითვლებოდა – იყო ბიბლიოთეკა და სკოლა; ბევრი განათლებული ადამიანი გამოვიდა ამ სოფლიდან და მათი კვალი კარგად აჩნდა აქაურობას. ნიკოლოზის მამა იოსები გლეხკაცი იყო, მაგრამ იმკვალლობაზე საკმაოდ განათლებულად ითვლებოდა. წიგნის კითხვა მის სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. შემთხვევითი არ იყო, რომ მასთან სხვადასხვა

სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ რჩევადარიგებების მისაღებად, ბუნებრივია, ამგვარ ოჯახში აღზრდილი ნიკო სწავლავანათლებას დანაფებოდა.

ბახვის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნ. ჭელიძე სწავლას ხონის პედაგოგიურ ტექნიკუმში აგრძელებს, რომლის დამთავრებისთანავე მშობლიურ სოფელს უბრუნდება და მასწავლებლად იწყებს მუშაობას. მალე შედის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე. დაამთავრა თუ არა, იმავე წლიდან მუშაობას

სთავაზობენ სხვადასხვა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დანესებულებებში. 1932–1936 წ.წ. მოღვაწეობდა მე-14 საშ. სკოლისა და მე-3 პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორად, ხოლო 1937–1941 წ.წ. მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის (ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკის) დირექტორად.

სამამულო ომის დაწყებისთანავე მოქმედ არმიასა და ომის დამთავრებამდე ფარაჯა არ გაუხდია, ორჯერ დაიჭრა და გამოჯანმრთელებისთანავე არმიას დაუბრუნდა. წარმატებით ასრულებდა პოლიტხელის მოვალეობას და არაერთხელ ჯარისკაცებთან ერთად ჩაბმულა ბრძოლებში. 9 მაღლობა ჰქონდა მიღებული უმაღლესი მხედართმთავრის – სტალინისაგან, დაჯი-დოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლებით. მის საბრძოლო საქმიანობაზე კიდევ იბეჭდებოდა ფრონტულ გაზე-თებსა და თბილისის პრესაში.

მირონ ქოჩიაშვილის წიგნში "ქართველები დიდ სამამულო ომში" ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ქართველ ოფიცერს ნიკოლოზ ჭელიძეს "თავისი პირადი მაღალი, საბრძოლო და მორალური თვისე-



ბების გამოვლენით, ვაჟკაცობისა და მამაცობის მაგალითებზე ახალდახალი გამარჯვებებისაკენ მიჰყავდა ჩვენი ნაწილის მეომრებიო" (გვ. 57).

ომის შემდეგ, მთავრობის გადანყვეტილებით, მას უფლება ჰქონდა დაბრუნებოდა იმ თანამდებობას, რომელიც მას ომში წასვლამდე ეჭირა, მაგრამ მაღალი ზნეობის ადამიანმა, არ ისურვა გაეკეთებინა ეს, მით უმეტეს, რომ ამ დროს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორად პოეტი სანდრო ეული მუშაობდა. მისთვის სრულად მისაღები იყო ის, რაც სანაცვლოდ შესთავაზეს – დაეჭირა თბილისის ალ. ჯავახიძის (ახლანდელი მ. ჯავახიშვილის) სახელობის ცენტრალური სამეცნიერო საქალაქო ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობა. თითქოს ახალი ერა დაიწყო მის ცხოვრებაში. 1946 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1976 წ.) ის ამ ბიბლიოთეკაში მსახურობდა და ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას.

ნ. ჭელიძემ უდიდესი ღვაწლი დადო საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეს ჯერ რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, შემდეგ საქალაქო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი იყო უბადლო ორგანიზატორი, მრავალი სიახლის შემომტანი და დამწერ-გავი, დაულღელი, შრომისმოყვარე მუშაკი, მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტის გზის გამკვალავი. დიდ ყურადღებას უთმობდა მეთოდოლოგიური და მეცნიერული მუშაობის განვითარების საქმეს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში. თვითონ მოღვაწეობდა როგორც ბიბლიოგრაფი, შემდგენელი და რედაქტორი, არაერთი საძიებელი თუ მაჩვენებელი შექმნილა მისი ხელდასმით, არაერთ მნიშვნელოვან საქმეს ჩაყრია საფუძველი.

ჯერ კიდევ რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მუშაობისას მიიღო მან აქტიური მონაწილეობა ბიბლიოგრაფიის საქმეში ერთდერთი უმნიშვნელოვანესი გამოცემის შედგენაში. ეს ეხება რევოლუცი-

ამდელი პერიოდიკის ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას, რომელიც თითქმის მთელ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისს მოიცავს, ამ საქმეში მასთან ერთად მოღვაწეობდნენ სპეციალისტთა გამოცდილი მუშაკები – ნ. ლორთქიფანიძე, ივ. ციციშვილი, გ. გიორგიძე, ვ. ჯოჯუა, თ. ნაკაშიძე და მაშინ ჯერ ახალგაზრდა მუშაკები – ნიკოლოზ აკერმანი, ნინო ლაიშვილი, ლეილა ზამბახიძე და სხვა, მთელი სიმძიმე ამ საქმისა წილად სხვდა მეთოდოლოგიის კოლექტივს თამარ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, რომელსაც გვერდში ედგა სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტი კლარა რამიშვილი.

ქალბატონი მზია ერთგან თავის მოგონებაში წერს: "თამარმა, ამ დიდებულმა მეცნიერ-ბიბლიოგრაფმა, როგორც მას აკად. ივ. ჯავახიშვილი უწოდებდა, შესანიშნავად გაართვა თავი ამ საქმეს. მისმა მრავალხმრივმა წიგნიერმა და ზოგადმა განათლებამ, დოკუმენტების ბიბლიოგრაფირების უმაღლესმა პროფესიონალიზმმა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქმისადმი მოვალეობის საოცარმა პასუხისმგებლობამ, უნიკალური შედეგი მოგვცა, შეუძლებელი შეძლო და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თავის ერს, განსაკუთრებით მეცნიერებს და პრესით დაინტერესებულთ დაუტოვა შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უნიკალურად შედგენილი XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის პრესის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რომელიც "ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიასთან" ერთად, სამართლიანად ითვლება ეროვნულ ბიბლიოგრაფიის საუნჯედ".

ქალბატონი მზია შემდეგში იგონებს მამის მონაყოლს, თუ როგორ მიუტანეს შინ მწოლიარე ავადმყოფს აკად. ივანე ჯავახიშვილს ნიკო ჭელიძემ და თამარ მაჭავარიანმა "ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია" (რედ. ნ. ჭელიძე). ბატონ ივანეს თვალთაგან ცრემლები წამოსცვივდა,



"ნაშრომი გულში ჩაიხუტა და გახარებულმა თქვა: "ეს იყო ჩემი ახალგაზრდობის ოცნება". საყოველთაოდაა ცნობილი, რომ პეტერბურგში 1916 წელს ივ. ყიფშიძის რედაქციით გამოცემულ "ქართულ ბიბლიოგრაფიაში" (1852-1910) ეთნოგრაფიული მასალა ივ. ჯავახიშვილის მიერ იყო ძებნილი და დამუშავებული... გარკვეული წვლილი ამ ბიბლიოგრაფიის შედგენაში მიუძღვის პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრებს (შემდეგში ცნობილ ქართველ მეცნიერებს), რომელთა ხელმძღვანელიც გახლდათ ივ. ჯავახიშვილი. ამდენად, ბუნებრივი იყო ამ შრომით მისი ასეთი აღფრთოვანება. იგი სტუმრებს ასეთი სიტყვებით დაემშვიდობა: "თქვენმა მოსვლამ, თქვენმა საჩუქარმა დამავიწყა ავადმყოფობა. პირადად ჩემი და ქართველ მეცნიერთა სახელით მივესალმები თქვენი დაწესებულების, ამ ცოდნისა და მეცნიერების დიდებული ტაძრის, უაღრესად საჭირო, დღემდე გაუკეთებელი საქმის წამოწყებას, მისი განხორციელების განთიადს"... ბოლოს დაატანა: "რამეთუ ამ დონითა და ხარისხით შესრულებული ბიბლიოგრაფიული შრომების გარეშე შეუძლებელია დაინეროს ერის ისტორია, მისი წარსული, აწმყო და მომავალი"... და გაიხსენა სულმნათი ილიას სიტყვები: "ანმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა". აი, ასეთი გულანთებულები, გაბედნიერებულები დაბრუნდნენ თამარი და მამა ბიბლიოთეკაში, სადაც მათ სულმოუთქმელად ელოდა თანამშრომელთა მთელი კოლექტივი. მათ დაწვრილებით მოახსენეს ივ. ჯავახიშვილთან გატარებული და ყოფნის დაუვიწყარი წუთები".

ეს პერიოდი ნიკოლოზ ჭელიძისთვის, ალბათ, იყო ყველაზე დიდებული ხანა მისი მოღვაწეობის დროს, თუმცა მას შემდეგშიც, ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკაში მუშაობისასაც მუდამ შემოქმედებითად აქტიურ და საინტერესო ცხოვრებას ეწეოდა.

ეს ბიბლიოთეკა ქალაქის წიგნიერი მოსახლეობის ნამდვილ ციტადელს

წარმოადგენდა. გარდა იმისა, რომ მისი ახალი დირექტორი აქ მრავალ სიახლეს ნერგავდა, სისტემატურად აუმჯობესებდა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ პროცესებს, პერიოდულად აწყობდა საზოგადოებისათვის მეტად საგულისხმო ღონისძიებებს – ახალი წიგნების გამოფენები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, მკითხველთა კონფერენციები, ლექცია-მოსხენებები, გარჩევადგანხილვები, დისპუტები, შეხვედრები თვალსაჩინო ადამიანებთან. აქ გაეცნო მოსახლეობა პირადად შალვა ნუცუბიძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს, პეტრე ამირანაშვილს, იოსებ გრიშაშვილს და სხვადასხვა სპეციალობის მოწინავე ადამიანებს. მრავალი ღირსშესანიშნავი ღონისძიება ჩატარებულა აქ ბატონი ნიკოლოზის ინიციატივითა და ორგანიზაციით.

განსაკუთრებით ფასეულია ის, რაც ნ. ჭელიძემ აქ ბიბლიოგრაფიულ-მეთოდური მუშაობის განხრით გააკეთა. არაერთი მეთოდური წერილი და ბიბლიოგრაფიული სარეკომენდაციო სია გამოქვეყნებულა სხვადასხვა საიუბილეო და ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით. ბ-ნ ნიკოლოზმა აქ პირველმა დაწერა პროფესიონალური სამეცნიერო კონფერენციები, დიდი ჯაფით შეძლო დაემყარებინა ქალაქის ბიბლიოთეკებს შორის საქმიანი კოორდინაცია. განსაკუთრებით დაეტყო ბიბლიოთეკას დაკომპლექტებაში მონესრიგებულობა, კატალოგების სრულყოფა, მომსახურების ხარისხის ამაღლება. ბიბლიოთეკა ამ პერიოდში იქცა ქვეყნად ერთდერთ მოწინავე და წამარებულ დაწესებულებად, რაზედაც მეტყველებს მისი მოღვაწეობის არაერთგზის აღნიშვნა დიპლომებითა და სიგელებით.

როგორც ნ. ჭელიძის მომსწრე ძველი მუშაკები აღნიშნავენ, იგი იყო არა მარტო სამაგალითო ხელმძღვანელი, არამედ ერთგვარი ხიბლის მქონე პიროვნება – ყველას ნუგემის მიმცემი, დამხმარე, კეთილშობილი, სამართლიანი. გარეგნული იერიითაც შთამბეჭდავს წარმოად-

გენდა, მეტყველება ჰქონდა დახვეწილი და დამაჯერებელი.

ყველაფერს ასწრებდა – პირადი ცხოვრების ფარგლებში თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო პროფკავშირული და პარტიული მუშაობის აქტივისტი, მუდამ საპასუხისმგებლო საქმიანობით დატვირთული და, რაც მთავარია, როგორც ხელმძღვანელმა, იცოდა განუვლი შრომის დანახვა და დაფასება.

სიცოცხლის ბოლო წლებში საკუთარი სურვილით გადადგა დირექტორის თანამდებობიდან, რადგანაც თავს უკვე

შეუძლოდ გრძნობდა და დირექტორის მოადგილედ და მთავარ კონსულტანტად დაიწყო მუშაობა. გზა ახალგზარდებს დაუთმო; უშურველად უზიარებდა მათ თავის მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას, დღესაც ბევრი მოღვაწეობს ჩვენს ბიბლიოთეკებში მის მიერ აღზრდილი და გზადალოცვილი, რის გამოც მადლიერებით იგონებენ მას, ამ ღვაწლმოსილ ადამიანს, და სათანადო პატივს მიაგებენ მის ხსოვნას.

**მასალა მოამზადა**  
**ზზია ტოგონიძემ**

### ლირსეული წინაპრები

## ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედების ასპექტები [მოკლე ბიოგრაფიული ჩრონიკა]\*

1873 წ. – ილია ამთავრებს „გლახის ნაამბობზე“ მუშაობას და ქმნის საბოლოო რედაქციას. ჟურნალ „კრებულში“ ქვეყნდება „აჩრდილის“ რამდენიმე თავი, „გლახის ნაამბობის“ ნაწილი.

14 მაისს ილია თავს ანებებს დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეობას.

ივნისში დიმიტრი ყაზბეგთან ერთად მიემგზავრება პეტერბურგში საადგილ-მამულო ბანკის წესდების პროექტის დასამტკიცებლად და საბანკო საქმის გასაცნობად.

ივნისის ბოლოს ილია მოსკოვში ჩადის საბანკო საქმესთან დაკავშირებით. შემდეგ ისევ მიემგზავრება პეტერბურგს და მალე კვლავ მოსკოვში ბრუნდება. სექტემბერში ისევ პეტერბურგშია.

ივლისის ბოლოს ჟურნალ „კრებულში“ ქვეყნდება „გლახის ნაამბობის“ დასასრული, სექტემბერში – „აჩრდილის“ XVII თავი, ლექსი „პარიზი“ (სათაურით – „1871 წლის 23 მაისი“).

პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ ეცნობა სტუდენტ ვანო მაჩაბელს, რომელთანაც ერთად იწყებს შექსპირის „მეფე ლირის“

თარგმნას.

ოქტომბერში ჟურნალ „კრებულში“ ქვეყნდება ილიას მიერ შეკრებილი ე. წ. გლახური სიმღერები.

1874 წ. – მაჩაბელთან ერთად ამთავრებს „მეფე ლირის“ თარგმნას. ჟურნალ „კრებულში“ ქვეყნდება (1874, 3). პირველი მოქმედების თარგმანი.

აპრილში ილია ქუთაისის გავლით ბრუნდება თბილისში.

5 სექტემბერს ილიას ირჩევენ თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარედ.

28 ოქტომბერს ბანკის საქმეებთან დაკავშირებით კვლავ მიემგზავრება პეტერბურგს. აგრეთვე ჩადის მოსკოვში. ნოემბერში ბანკის საქმეებზე პოლტავაში იმყოფება. ისევ ჩადის პეტერბურგში ფინანსური გარეგნობისათვის.

16 ივლისს ილიას ნაფიც ვექილად ამტკიცებენ.

ოქტომბრის ბოლოს ილიასა და სერგეი მესხის თაოსნობით თბილისში ყალიბდება ქართული წიგნების გამომცემლობა აშხანაგობა.

1876 წელი ძირითადად საბანკო საქმეებთან დაკავშირებული მოღვაწეობით აღინიშნება.

\* გაგრძელება. დასაწყისი 2007, №3.

1877 წ. თებერვალში ცალკე წიგნად გამოდის ილიასა და ფ. მანაბლის მიერ თარგმნილი „მეფე ლირი“.

3 მარტს გამოსვლას იწყებს გაზეთი „ივერია“.

ილია სხვა საგაზეთო წერილების გარდა, ბეჭდავს ალფონს დოდეს მოთხრობის თარგმანს! „უკანასკნელი გასაკვეთი, ნაამბობი პატარა ელზასელისა“, აგრეთვე ლექსებს: „ვიხილე სატრფო იგი ცრემლს ღვრიდა“, „ს... რ-სას“, მისი ლექსები იბეჭდება კრებულში „სალამური ანუ ლექსების კრება ქართველ მწერალთა („ნანა“ და „ელეგია“). წლის ბოლოს იწყებს მუშაობას პოემაზე „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

1878 წლის იანვრიდან იწყებს პოემის „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნებას. ასევე ნაწილდნაწილ ქვეყნდება ილიას თარგმნილი ჯურა იაკშიჩის მოთხრობა „შვილი მოხუცებულის გამზისა“, უცნობი ავტორის მოთხრობა „უბინაო კაცი ნიუ-იორკში“, გეორგ ებერსის ისტორიული რომანი „რამეთუ კაცი ვარ“, ალფონს დოდეს მოთხრობები „სახლი იყიდება“ და „სამი ათასი ფრანკი“, ლექსები: „ვნახევი სატრფო, იგი ცრემლს ღვრიდა“, „მაშინ დავტკბები სრულის სამოთხით“; მრავალი ლექსი იბეჭდება სხვადასხვა კრებულებში.

ილია, როგორც სხვა წლებში, ახლაც სისტემატურად აქვეყნებს ბანკის ანგარიშებსა და ბალანს, ძირითადად რუსულ გაზეთებში „კავკაზმა“ და „ობზორში“.

1879 წელს ილია იწყებს „ივერიისათვის“ პუბლიცისტური წერილების „შინაური მიმოხილვის“ ბეჭდვას.

ამ წელს ილიამ დაწერა თავისი ერთდერთი ყველაზე პოპულარული და მძაფრი სიუჟეტიანი მოთხრობა – „სალრჩობელაზე“.

უკვე ჟურნალად გადაკეთებულ „ივერიაში“ იბეჭდება ადრე დაწყებული მოთხრობებისა და ნარკვევების გამოცემების გაგრძელებები, აგრეთვე პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. დაიწყო ილიას მიერ თარგმნილი ფ. ზანდის რომანის „იზას“ ბეჭდვა.

ილია აქტიურად მონაწილეობს ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომებში, ქართული თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელ კრებაში; ეწევა სხვა საზოგადოებრივ საქმიანობას (ქობულეთის დამმუელი მოსახლეობის დასახმარებლად).

ივლისში ცალკე წიგნად გამოდის „გლახის ნაამბობი“. ჟურნალ „ივერიაში“ კვლავ იბეჭდება ილიას ადრე გამოცემული ნაწარმოებები, მოთხრობები, ლექსები, სტატიები. გამოჩნდა ესპანურიდან ლარას სატირული მოთხრობის „ვაქებ ანუ ამასაც ხომ არ დამიშლიან“ თარგმანი.

პირველ სექტემბერს ილიასა და სხვა მოღვაწეთა თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ქართულ მუდმივ თეატრალურ დასს. ამ დღეს წარმოდგენილი იყო ბარბარე ჯორჯაძის კომედია „რას ვეძებდი და რა ვპოვე“.

1880 წელი ილიასათვის ძალიან მძიმეა. იგი თავიდან ბოლომდე ჩაფლულია საბანკო, ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა და თეატრალურ საქმიანობაში. გრძელდება დაუცხრომელი დაპირისპირება და პოლემიკა ნიკო ნიკოლაძესთან, დუელიც კი დაინიშნება მათ შორის, რომელიც ბოლოს შერიგებით დამთავრდა.

„ივერია“ და „დროება“ თანდათან უფრო მჭიდრო კავშირს ამყარებენ. ილიამ სწორედ აქ დაიწყო მძაფრი პოლიტიკური ნარკვევის გამოქვეყნება („ხიზნების საქმე საიდან უნდა დაწყებულიყო“).

საქტემბრის ბოლოს გრ. ჩარკვიანის სტამბაში ცალკე წიგნად იბეჭდება ილიას პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“, ხოლო დეკემბერში – „კაცია ადამიანი?“

ილია მონაწილეობს ქართული მწერლობის მოყვარულთა პირველ ყრილობაში, რომელიც იხილავს „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციისა და გამოცემის საკითხებს. 1881 წელს ილია გადატვირთულია საზოგადოებრივი საქმიანობით – მას ირჩევენ ქართული დრამატიული ამხანაგობის თავმჯდომარედ, თავმჯდომარის ამხანაგად – აკაკის, მონაწილეობს „ვეფხის-

ტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის, ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომებში, მარტის II ნახევარში მიემგზავრება ბათუმში სკოლის გახსნასთან დაკავშირებით, სისტემატურად აწყობს ბანკის კრებებს, ესწრება ბენეფისებს, ქართულ წარმოდგენებს, ადგენს ჟურნალ-გაზეთებისათვის ბანკისა და ნ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ანგარიშებს.

ამავე დროს ილია, როგორც ქართველი ხალხის წინამძღოლი, შეუწყვეტელ ბრძოლაშია რეაქციული ძალების წინააღმდეგ. მწვავე წერილს ათავსებს „დროების“ 33-ში – „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებს იანოვსკის სასკოლო პოლიტიკას და მის შოვინისტურ ზრახვებს.

ამ წელს „ივერიის“ მესამე ნომერში ილია ბეჭდავს „აჩრდილის“ დასასრულს და განაგრძობს „შინაურ მიმოხილვებს“.

1882 წელს ილია ძირითადად დაკავებულია პუბლიცისტური მოღვაწეობით, სისტემატურად აქვეყნებს „შინაურ მიმოხილვებს“, 24 თებერვალს „დროებაში“ ქვეყნდება მისი წერილი „კატკოვის პასუხად“.

ქართული დრამატიული დასი არწრუნის თეატრში დგამს ილიას დრამატულ პოემას „დედა და შვილი“.

ზ. ჭიჭინაძის მიერ ცალკე წიგნად გამოდის ილიას „დედა და შვილი“ და რამდენიმე ლექსი, აგრეთვე ქვეყნდება „სალამური ანუ ლექსთა კრება“ 1, რომელშიც მოთავსებულია ილიას ლექსები.

ნოემბერში ილია მონაწილეობს ქართული მეცნიერული ტერმინების შემმუშავებელ კომისიის საქმიანობაში.

1883 წ. თებერვლისათვის ილია „განდეგის“ ამთავრებს. დ. სარაჯიშვილის სახლში ქართული მწერლობის მოყვარულთა წინაშე კითხულობს სრულად. მარტის „ივერიის“ ნომერში კი ქვეყნდება მთლიანად. ე. ხელაძის სტამბა ცალკე წიგნად აქვეყნებს ამ ნაწარმოებს.

ნ. ნიკოლაძის ინიციატივითა და ღვანლით ილიას რამდენიმე ნაწარმოები

ითარგმნა და დაიბეჭდა რუსულ პერიოდულ ორგანოებში.

ი. გოგებაშვილი გამოსცემს კრებულს „ხომლი“, რომელშიც მოთავსებულია ილიას უმნიშვნელოვანესი ლექსები და პოემების ნაწყვეტები.

ილია ესწრება მრავალრიცხოვან კრებებს, საღამოებს, მონაწილეობს სოფელ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნის ცერემონიაში. მისი რეჟისორობით მომზადდა ჯიოკომეტის დრამა „დამნაშავის ოჯახი“, რაც გაცხადდა კიდეც „დროებაში“ და დღეც იქნა დანიშნული, მაგრამ დრამატიული საზოგადოებაში მომხდარი განხეთქილების გამო, წარმოდგენა არ შედგა.

1884 წელი იმით დაიწყო, რომ ილია ალ. სარაჯიშვილსა და უმიკაშვილთან ერთად აგრძელებს მუშაობას „ვისრამიანის“ საბოლოო რედაქციაზე. ქვეყნდება ილიას მიერ თარგმნილი ი. ტურგენევის მოთხრობები: „ბაასი“, „ბებერი დედაკაცი“, „ძალი“, „მათხოვარი“ და სხვა.

ამ წლის განმავლობაში ქვეყნდება „განდეგის“ თხორჟევსკის რუსული თარგმანი.

15 აპრილიდან პოლიციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, ილიაზე ფარული მეთვალყურეობა წესდება.

პირველ ივნისს საქართველოში ჩამოდის არტურ ლაისტი, რომელსაც ილია მასპინძლობს.

„ნოვოე ობაზრენიაში“ ქვეყნდება ილიას „Письмо в редакцию“, რომელიც წარმოადგენს ნ. ამატუნის პრეტენზიული წერილის პასუხს ბანკში ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით.

1885 წ. „ივერიის“ პირველ ნომერში ქვეყნდება გეორგ ებერსის ისტორიული რომანის პირველი ნაწილი, ილიას თარგმნით.

29 მარტს ილია, სხვა ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, მიემგზავრება ქუთაისში, იქედან სამეგრელოში, ნიკო დადიანის ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისათვის ანდერძით გადაცემული ბიბლიოთეკის ჩასა-

ბარებლად. 3 აპრილს ჩადის გორდში და იბარებს ბიბლიოთეკას. შემდეგ სტუმრობს ბანძას, ჩადის ცაიშში – იონა მეუნარგიას ოჯახში; ათვალეირებს მთავრის სასახლეს ზუგდიდში, იბარებს დადიანთა ბიბლიოთეკის ნაწილს, მოინახულა ახალსენაკი და ბრუნდება თბილისში. ის აღტაცებულია ნანახითა და გაგონილით, არნახულად მოილხინა და გამხიარულდა.

მაისში ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებაზე ილიას ირჩევენ საზოგადოების თავმჯდომარედ.

ამ წელს გრძელდება „ასული ფარაონისას“ ბეჭდვა სხვადასხვა ნომრებში, ქვეყნდება კრებულები, რომლებშიც შესულია ილიას მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. არტურ ლაისტი ილიას უშალო ხელმძღვანელობით იწყებს ქართველ პოეტთა ნაწარმოებების თარგმნას.

ილიათი თანდათან უფრო მეტად ინტერესდებიან უცხოელები. ფრანგული გაზეთი „პარიზი“ ბეჭდავს „განდევლის“ პროზაულ თარგმანს.

მას შემდეგ, რაც „დროება“ უსახსრობის გამო დაიხურა, ილია ცდილობს „ივერია“ გადააკეთოს ყოველდღიურ გაზეთად. 4 დეკემბერს მისი თხოვნა დააკმაყოფილეს.

1886 წლის 1 იანვარს გამოვიდა გაზეთი „ივერიის“ პირველი ნომერი, ამ წელს ილია თავიდან ბოლომდე პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწევა და ნაკლებ დროს უთმობს მხატვრული შემოქმედებას.

ძირითადად ილია მეთაური წერილებითაა დაკავებული, გამოდის რუბრიკით „ტფილისი...“ ეს მონინავენი მეტად ფართო თემატიკით გამოირჩევა. ილია აქ ეხება: ლიტერატურის დღევანდელობას, ევროპის დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკას, სხვადასხვა სახელმწიფოთა მდგომარეობას, გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობას, პოლემიკას, რუსეთში ქართველ სტუდენტობის საქმეს, სამეურნეო სკოლებს, კახეთის რკინიგზას, მუშათა ყოფაცხოვრებას, კერძო და სათემო მინათმშენებლებს, თავადაზნაურების გულგრილობას სწავლადგანათლების

მიმართ, დასავლეთის ეტიკეტს, მეყურძნეობისა და მეღვინეობის საჭირობოროტო საკითხებს, ჩვენი ხალხის განათლებას, ნავთის ბაჟს, ინფორმაციულ მასალას ბანკის მუშაობასთან დაკავშირებით, ჩვენი ეკონომიური საჭიროებისა და გზების საკითხებს, ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების საქმეებს, უცხოეთის ამბებს, პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულებს, ბათუმის პორტოფრანკოს გაუქმების საკითხს, ომის საფრთხეს, საქართველოს ძველი ისტორიისა და ძველთა აღწერის აუცილებლობას, ჩარჩული კაპიტალისა და ჩვენი მრეწველობის ამბებს, ხიზნების პრობლემებს, მამულის გამიჯვნას, რეფორმების საკითხს, ჯარისკაცთა განწევის პირობებს, სოფლის მმართველობის რეფორმას, მაჰმადიანთა გაერთიანებას, მეთამბაქოებას, საქართველოდან იმიგრაციის მომენტებს, საქართველოში შავი ქვის მრეწველობას, მეაბრეშუმეობის აღორძინების აუცილებლობას, ქართული ხილის წარმოების მნიშვნელობას, ჭირნახულის მოვლას, არყისა და სპირტის გამოხდის საკითხებს, ვაჭრობის საქმეს, გამსესებელ-შემნახველ ამხანაგებობებს და სხვა.

ძნელი წარმოსადგენია, რა ჯაფა და ენერგია, ინტელექტი, ცოდნის განუზომელი მოცულობა ესაჭიროებოდა ამგვარი მრავალფეროვანი თემატიკის დამუშავებას, ან დროის რა ბიუჯეტი იყო ამისთვის საჭირო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ პერიოდში ილია დიდ დროს უთმობდა ქართულ თეატრს, არ ტოვებს უნახავად არც ერთ წარმოდგენას, ესწრება ბენეფისებსა და ნახულობს დროს თვითონ მიიღოს მონაწილეობა სპექტაკლში – 16 თებერვალს ქართული დრამატული დასის მიერ დადგმულ „მეფე ლირში“ კენტის როლი შეასრულა. სცენაზე ამ დროს თამაშობდნენ ქართული სცენის მაშინდელი დიდოსტატები: კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, მაკო საფაროვ-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე. სპექტაკლში მონაწილეობდა აგრეთვე უკვე ცნობილი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი.

გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ილია

სისტემატურად ბეჭდავს სხარტულ ლექსებს „დამაკვირდი“, საზოგადოებისა და ბანკის ანგარიშებს, პოლემიკურ წერილებს, სშირად იყენებს ფსევდონიმს, ან ხელს არ აწერს სტატიას.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ის, რომ ილია იწყებს მისი გენიალური მოთხრობის „ოთარაანთ ქვირივის“ შექმნას. 28 სექტემბრის „ივერიაში“ აქვეყნებს ამ მოთხრობის ერთგვარ „ჭაშნიკს“, რაც სულ მალე მძლავრ შემოქმედებით ნაწარმოებად იქცევა.

1887 წ. – ილია ინტენსიურად ეწევა პუბლიცისტურ საქმიანობას. „ივერიის“ უმეტესობა მისი მონივნად სტატიებით გამოდის, ცალკე წიგნად აქვეყნებს ბანკის ანგარიშს, მონანილობას ლეზულობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებებში, აგრეთვე კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წლიურ კრებაში; ივლისში მოგზაურობს შუა ქართლის სოფლებში; საქმიანი ვიზიტები ჰქონდა ქუთაისში, ესწრება თეატრალურ

წარმოდგენებს და წერს რეცენზიას „თამარ ცბიერის“ დადგმის გამო.

დეკემბრის დასაწყისი – ილია ამთავრებს „ოთარაანთ ქვირივს“, არტურ ლაისტის გადმოცემით, ეს ნაწარმოები ილიამ ხუთ დღეში დაწერა. მისი საჯარო კითხვა ილიამ დავით სარაჯიშვილის სახლში მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის გამართა.

1888 წლის იანვარში „ივერიაში“ ზედიზედ ქვეყნდება „ოთარაანთ ქვირივის“ ცალკეული თავები.

1889 წელი – ილია კვლავ დიდ დროს ანდომებს ჟურნალში მოღვაწეობას, ამასთან, ეწევა მრავალგვარ საზოგადოებრივ საქმიანობას.

2 აპრილის „ივერიის“ (71) ფურცლებზე იწყებს წერილების გამოქვეყნებას სერიით – „აი, ისტორია“, რაც თითქმის მთელი ნახევარი წლის განმავლობაში გრძელდება.

(გაგარძელება სემდეგ ნომერში)

## მწერლის არქივიდან

*ჩვენი მკითხველებისათვის კარგადაა ცნობილი, რა მდიდარ მემუარულ მასალას ფლობს ცნობილი მწერალი ნანა კანდელაკი. მან ახლაც შემოგვთავაზა ორი ფრაგმენტი თავისი მოგონებებიდან – „გარდასულ დღეთა მოსაგონარი“ და უნიკალური ფოტოები, რომლებიც პირველად ჩვენს ჟურნალში ქვეყნდება. იმედია, მკითხველები სიამოვნებით გაეცნობიან მათ.*

ნანა კანდელაკი

## გარდასულ დღეთა მოსაგონარი

### 1. ძველ „ნიანგელებთან“ ერთად

1963 წელი იყო.

ავგისტო იწურებოდა.

რედაქციაში ამოვიდა გურამ თიქნაძე. ის მაშინ ჟურნალ „დროშაში“ მუშაობდა და თავისუფალ დროს ჩვენთან – „ნიანგელებთან“ უყვარდა ყოფნა.

– აბა, მოეწყეთ „ნიანგელებო“, უნდა „ჩავაკარტოჩკოთ“, ოღონდაც სახურავზე ავიდეთ, იქ სინათლე მეტია.

ბავშვებით ავიშალენით და გახარებულვართ „ზარია ვოსტოკას“ შენობის სახურავს მივაშურეთ.

იმ დღეს ჩვენთან იყო არლი თაყაიშვილი, ჩვენი მუდმივი ავტორი, მერე ცანავამაც შემოიხედა – „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციის თანამშრომელმა (ეს ორი რედაქცია ერთი ოჯახის წევრებით ვიყავით საქმეშიც და გართობაშიც). მით უფრო სასიამოვნო იყო ამ წრეში სურათის გადაღება. ბიჭები რატომღაც საკვამლე მილთან დადგნენ, სხვანაირი ფონი იქნებაო და იყო ერთი ალიაქოთი, ადგილის შერჩევა, ვინ როგორ დამდგარიყო, – გარი, მოსე, ანზორი, მიშა ბავშვებით ლალობდნენ. ნოდარ დუმბაძე განზე იდგა სახურავზე. მე მასთან მივედი და



*ი. გრიშაშვილი, ბ. უდენტი, ა. თევზაძე გრიშაშვილის ბინაში ახალგაზრდა მწერლებთან ერთად (1948).*

ორივე მოსე ქარჩავას მივჩერებოდით, რომელიც ყველაზე მეტად ხმაურობდა.

– უყურე, ერთი, ამ „ნიანგელებს“, რა დღეში არიან, – მითხრა ნოდარმა.

მოსემ გაიგონა და ხოშკაკალავით მიაყარა:

– თორემ თვითონ ნაკლები „კროკოდილი“ ხარ, – და გურამს გასძახა: – გადაგვიღე, ბარემ, დროზე, თორემ ვიღაც ჩამოვარდება ამ საკვამურიდან და შენი მოსავლელი გახდება.

მე და ნოდარს გაგვეცინა. მოულოდნელად გურამი ჩვენსკენ შემობრუნდა და გადაგვიღო. იმ დღეს ბევრი სურათი აღბეჭდა გურამმა, რამდენჯერმე თვითონაც გადაიღო. ჩვენთან ერთად, მეორე დღეს საცდელი ფოტო სურათები მოგვიტანა.

– ხვალ მესტიაში მივდივარ, უნდა გავინავარდო მწვერვალებზე, ნანა! შენ გაბარებ დავალებას, შეარჩევ სურათებს, – ვის რამდენი გაუუმრავლო და რომელი სურათი. ათ დღეში აქა ვარ და ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ! სურათები მე ჩამაბარა, გადაგვკოცნა ყველა და წავიდა.

წავიდა და წავიდა...

ალარც დაბრუნებულა...

27 აგვისტოს შხარას მწვერვალიდან

ჩამოსვლისას გურამი დაიღუპა.

შესძრა ყველა, და მით უფრო, ვინც მასთან სულ გვერდით ვიყავით, ძმასავით საყვარელი, ლამაზი ვაჟკაცი, უღალატო. მისმა უდროო, მოულოდნელმა დაღუპვამ ყველა დაგვანადვლიანა.

დარჩა შესანიშნავი სურათები, დღეს უკვე უნიკალური ფოტოები იმ დღეთა მოსაგონარი...

ერთხელ, მოგვიანებით, გურამი რომ მოვიგონეთ, ნოდარმა ნადვლიანად მითხრა:

– სიკვდილი გარდაუვალია, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ... იმ დალოცვილმა ღმერთმა კაცს აცალოს, თქვას სათქმელი, გააკეთოს გასაკეთებელი.



*მ. ცანავა, გ. თიკანაძე, ნ. კანაკიძე, ნ. დუმბაძე (1963)*



ვაი, რომ ეს სიტყვები დღეს ნოდარზეც ითქმის.

რამდენი ფიქრი წაიღო თან, რამდენი დარჩა სათქმელი, ქალაქდზე გადასატანი...

დასანანია... დღეს ხომ იმ დროის „ნიანგელებიდან“, სამწუხაროდ მე მარტო დავრჩი... ძალიან მიჭირს იმ ნაღდი მეგობრების წასვლა ამ ქვეყნიდან.

1986-2007 წ. წ.

## 2. დაუვინყარი სტუმრობა ბარისახოში

გუშინდელ დღესავით მახსოვს, სექტემბრის პირველი დღეები დაწყებული იყო. მედიკო კახიძემ დამირეკა და მითხრა:

– უარი არ მითხრა, ბარისახოში უნდა ავიდეთ, ბავშვებს სწავლის დაწყება მივულოცოთ. აქედან შენ, მე, რეზო ინანიაშვილს და ჯანსუღ ჩარკვიანს გველოდებიან... წიგნები ჩავიტანოთ სკოლის ბიბლიოთეკისათვის, გავახაროთ კაი ლექსებით, იუმორით, მაღლიანი სიტყვით... ჩემი ქმარი აგვიყვანს მანქანით. ხვალ დილის რვა საათზე შენთან ვარ. შევთანხმდით?

– რა თქმა უნდა, მით უფრო, რომ იმ მხარეში ჯერ არა ვყოფილვარ. აბა, ხვალამდე! – იყო ჩემი პასუხი.

დაპირებისამებრ მედიკო რვა საათზე ჩემს სადარბაზოსთან იყო, გამაცნო თავისი მეუღლე და გავუდექით გზას.

– ეტყობა, ბლომად მოგაქვს წიგნები, – ღიმილით გახედა მედიკომ წიგნებით სავსე ჩანთას, – მეც მომაქვს ოცამდე წიგნი...

– ჰო, რამდენიმე



მოსე ქარჩავა და ნოდარ დუმბაძე

ჩემი წიგნია, უფრო მეტი კი – ჩვენი მწერლების. წიგნის გამოსვლის ამბავს რომ გავიგებ, უმაღვე შევიძენ ხოლმე. მერე ავტოგრაფით რომ მაჩუქებენ, ის ნაყიდი მრჩება, ჰოდა, აი, სად გამომადგა, – ღიმილით ვუბასუხე.

ეს იყო 1980 წლის 9 სექტემბერს.

ბუნებაში უკვე იგრძნობოდა ფერიცვალება. მწვანე და ოქროსფერი ერთმანეთში ირეოდა. საოცარი სანახავი იყო არაგვის ხეობა, თვალი ტკბებოდა ზღაპრული სანახაობით, ჩვენი დალოცვილი სამშობლოს სილამაზით.

ამასობაში ავედით ბარისახოში. სკოლის წინ, პატარა მოედანზე ხალხი შეგროვი-



„ბარია ვასტიკას“ სახურავზე (1969)

ლიყო და რომ დაგვინახეს, ტაშით შემოგვეგებენ. რეზო ინანიშვილმა და ტატა თურმანაულმა დაგვასწრეს იქ ასვლა და ისინიც ტაშს გვიკრავდნენ.

მანქანიდან რომ გამოვიტანეთ წიგნებით სავსე ჩანთები, ისევ ტაში ატყდა. სკოლანტერნატის გამგე – მიხო არაბული დაწინაურდა და მედიკოს და მე ხელი ჩამოგვართვა, აღელვებულმა მორიდებით მოგვემართა:

– ამ დიდი საჩუქრისათვის გულითადი მადლობა სკოლის ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის სახელით მითქვამს... გაიხარეთ ჩვენი გახარებისთვის! ატყდა ყიჟინა და ტაში, მიხომ მოიხმო ბიბლიოთეკის გამგე და გადასცა ჩანთები, მერე ჩვენ მოგვემართა: – სანამ კლუბში შევიკრიბებოდეთ, გუდანში გავიდეთ, იქედან გადმოხედეთ ჩვენს დალოცვილ მხარეს, ნამდვილად ისიამოვნებთ.

მანქანებში ჩასხდომას რომ ვაპირებდით, ჩვენსავით იქ ჩამოსული თუ იქ მომუშავენი შემოგვიერთდნენ. ესენი იყვნენ:

ირაკლი გოგოლაური, ალუდა არაბული, სოსო სამხარაული, მანქანა ეზოში შემოგორილდა და ჯანსუღ ჩარკვიანი გამოგვეცხადა შეძახილით:

– ვინა სთქვა, არ მოვაო? აგერ ვარ, თქვენთან! როგორ, ამ თავშეყრას დავაკლდებოდი?! მაგრამ ეს საით გაგინევიათ, მანქანებში რომ სხდებით? ბარისახო აქ არ არის განა?!

– გუდანში გასვლა შევთავაზეთ სტუმრებს, ამ შემოდგომის დღეს კაი გადმოსახედია ხეობაში, – თქვა მიხო არაბულმა, – შატილთან გაჯიბრება რა საკადრისია, მაგრამ მაინც...

– გუდანში წავსულვართ, აბა, – გაეღიმა ჯანსუღს, დაელოდა, სანამ ყველა ჩაჯდა მანქანაში, თვითონაც დაჯდა, ხელი აიქნია და ამ ლამაზმა მანქანების გუნდმა გუდანისკენ აილო გეზი.

მართლა მოვიხიბლეთ ნანახით, დაილოცოს ჩვენი ქვეყანა, ყველა კუთხეს ხომ თავისი ხიბლი აქვს, სამახსოვრო სურათიც



ქართველი მწერლები ბარისახოში: ს. სამხარაული, ავ. არაბული, მ. არაბული, ო. მამისაშვილი, ნ. კანდელაკი, გ. თურმანაული, ჯ. ჩარკვიანი, მ. კახიზე, რ. ინანიშვილი, ი. გოგოლაური (1980)



გადაგვიღო ჯანსუღის მძღოლმა. იქიდან ბუნების სილამაზით მოხიბლულები ისევ ბარისახოსკენ გამოვემართეთ.

ნემსის ჩასაგდები ადგილი არ დარჩა კლუბში, ისე გაივსო იქაურობა ხალხით. ყველას თვალი და ყური სცენისკენ ეჭირა რაღაც სასიამოვნოს მოლოდინში და აკი არ განზილებულან...

მართლა შესანიშნავი ლიტერატურული და საკონცერტო საღამო ჩატარდა, რომელსაც მიხო არაბული უძღვებოდა. ლექსების ცვენა იყო სტუმრებისა თუ მასპინძლების მხრიდან, რეზომ მინიატურული მოთხრობები წაიკითხა, მე ჩემი იუმორით არ ჩამოვრჩი მათ. საღამო სკოლის მოსწავლეთა სიმღერებმა და ცეკვებმა დაამშვენეს. მიხო არაბული ქათინაურებს არ იშურებდა სტუმრების და მოსწავლეების მისამართით.

საღამოს დასასრულს სკოლის ბიბლიოთეკის გამგე გამოვიდა, მადლობა გადაგვიხადა სტუმრობისათვის, დაუფინყარი ლიტერატურული საღამოს მონყობისათვის, – ამ წიგნებით ცოდნას გავუღრმავებთ ჩვენს ახალგაზრდებსა და, ბარისახოს

ყველა მკვიდრს, ხეობის ყველა წიგნის მოყვარულს! გაიხარეთ ჩვენი გახარებისთვის! კიდევ გვესტუმრეთ!

რა თქმა უნდა, მერე გაიშალა ლამაზი სუფრა, თამადაობდა ჯანსუღი. იყო ისევ სიმღერა, ცეკვა, ითქვა ბევრი ლექსი. სადღეგრძელო სიტყვა ითქვა ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის სადიდებლად.

შებინდებისას თბილისში დავბრუნდით.

დამშვიდობებისას მედიკომ თქვა:

– რა კარგია, რომ ამ შეხვედრით ორივე მხარე – სტუმრებიც და მასპინძლებიც ნასიამოვნები დავრჩით.

– გაიხაროს ბარისახომ, კეთილი სტუმარი ნუ მოაკლდება ამ მხარეს, კულტურისა და ცოდნის კერას, და ღმერთმა ქნას, მომავალშიც ღირსეული შვილი აღუზარდოს ჩვენს სამშობლოს, დედასავით საყვარელ საქართველოს! – ვთქვი მე და სანამ თვალს არ მოეფარა ბარისახო, მთელი დღის შთაბეჭდილებებით აღელვებული მივჩერებოდი.

სექტემბერი 2000 წ.

კორესპონდენცია

ნანა ოქროპირძე

თბილისი 76-ე სკოლის ბიბლიოთეკის ბავშვები

**ლიტერატურული საღამო-შეხვედრა ჩვენს სკოლაში**

76-ე სკოლის ბიბლიოთეკის ინიციატივითა და ორგანიზაციით 2007 წლის 25 ოქტომბერს აქ გაიმართა ლიტერატურული საღამო-შეხვედრა, რომელზედაც მონაწილეები იყვნენ ქართველი მწერლები: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გენო კალანდია, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ჯანო ჯანელიძე, ქართლის მწერალთა



ორგანიზაციის თავმჯდომარე მარინე ცხვედიაშვილი, ჟურნალისტი მანანა გორგიშვილი, აგრეთვე საბიბლიოთეკო დარგის ცნობილი მპეციალისტები: გურამ თაყნიაშვილი და ალექსანდრე ლორია, სტუმრად იმყოფებოდნენ აგრეთვე სოხუმელი პედაგოგები.



სალამოს ესწრებოდნენ სკოლის დირექტორი დავით ჯაგაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე – ორგანიზატორი მაცყვალა ღვინიაშვილი, რესურსცენტრის ხელმძღვანელი ირინა გოგონაია, მ. შუბლაძე და სკოლაში მომუშავე სხვა პედაგოგები და მოსწავლეთა თითქმის სრული შემადგენლობა. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო, მოსწავლეები გასცნობოდნენ მოწვეულ

მიმზიდველად ჩატარდა, განსაკუთრებით ლიტერატურული მონატჟი, რომელიც მე-10 კლასელ ეკა კვინიკაძეს მიჰყავდა. ზეიმზე მონაწილეობა მიიღეს მე-10 კლასის მოსწავლეებმა: ლ. მეტრეველმა, ს. ფაცაცამ, გ. მამნიშვილმა, მ. ითაშვილმა; მე-8 კლასელებმა: ს. თოდუამ, თ. თოდუამ, თ. გუჯეჯიამ; მე-7 კლასელებმა: ირაჯულმა, ქუთათელაძემ, ჯაფარიძემ, პირველკლასელებმა: ს. ყავაძემ, გ. აფაქიძემ.



განსაკუთრებით საინტერესო იყო პედაგოგების: ნინო ცხვედაძის, ლონდა ნარსავიძისა და ელისო გაბარაშვილის სიტყვები, მაგრამ ღონისძიების ნამდვილ მწვერვალს წარმოადგენდა ჩვენი სტუმარი მწერლების გამოსვლები.

შემოქმედთა ნაღვანს, მათ მადლიან სიტყვას, გასცნობოდნენ ქართული ლექსის მიმზიდველობას, ეგრძნოთ ქართული ლიტერატურის ძალა და ენერგია.

როგორც ცნობილია, ოქტომბერში საყოველთაოდ აღინიშნება მასწავლებლის დღე. ჩვენ სპეციალურად ამ დღეს დავამთხვიეთ ეს ღონისძიებაც და განსაკუთრებული პატივი მივაგეთ პედაგოგებს, რომლებიც დღეს უკვე აღარ მოღვაწეობენ.

ღონისძიება მეტად ორგანიზებულად და

დამსწრეთა შორის, მოწვეული სტუმრებიც უაღრესად კმაყოფილნი ტოვებდნენ სკოლას მადლიერებით აღვსილნი. ეს სალამო ყველა ჩვენთაგანის ხოვნაში წარუშლელ ადგილს დაიჭერს.

გულიკო კვიციანიძე

## ერთი ლაგაზი დღე

თბილისის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანების №19 ფილიალში 2007 წლის 4 ოქტომბერს მოენყო ჟურნალისტიკისა და საბიბლიოთეკო დარგის თვალსაჩინო მოღვაწის – გულნარა სტურუას წიგნების „ჩემი ბილიკი“ (ლექსები) და „ჩვენი სუფრა ქართული“ (ეთნოგრაფიული ნარკვევი)

წარდგენა. დარბაზი სავსე იყო მკითხველებით და ქალბატონ გულიკოს თაყვანისმცემლებით. აქვე იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საბჭოს“ წარმომადგენლები, რომლებმაც ბიბლიოთეკასთან ერთად წვლილი შეიტანეს ამ სალამოს მოწყობაში.

სალამო გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ

გულიკო კვიციანიძემ, რომელმაც ილაპარაკა ავტორის დამოკიდებულებაზე მათ ბიბლიოთეკასთან, მის ნიგნიერებაზე, შემოქმედებითი შრომის სიყვარულზე და სხვა კეთილ ადამიანურ თვისებებზე.

გ. სტურას ნიგნი „ჩვენი სუფრა ქართული“ გაარჩია ბიბლიოთეკის მკითხველმა, თეატრმცოდნემ და კრიტიკოსმა დავით სოლომნიშვილმა. აღნიშნა რა ამ ნარკვევის მნიშვნელობა, მიიჩნია იგი ქართული სუფრის ადათ-წესებზე დაწერილ გამორჩეულ ნაშრომად, როგორც იდეურობის თვალსაზრისით, ისე ანალიტიკური მსჯელობით, მოძიებული მასალების სიუხვით და მრავალფეროვნებით.

საღამოზე სიტყვით გამოვიდა მწერალი, კრიტიკოსი ჯემალ მეხრიშვილი. ბატონმა ჯემალმა, ისარგებლა რა ნიგნის თემატიკით, გააკრიტიკა ქართული სუფრის ტრადიციების დამრღვევნი, ზედმეტი ჭამა-სმის მოყვარულნი, რომელებიც თავიანთი თავშეუკავებლობით შეურაცხყოფენ სუფრის წესებს. მან თქვა აგრეთვე ისიც, თუ როგორ გადააჭარბა კრიტიკოსის მოლოდინს ნიგნის შინაარსმა, როცა სუფრის აპოლოგიის ნაცვლად, ნიგნში აღმოაჩინა ქართული სუფრის ადათ-წესების კვლევაზე დაწერილი ნაშრომი.

მწერალმა მადლობა გადაუხადა ავტორს დღევანდელი საზოგადოებისათვის ასეთი საჭირო ნიგნის მიწოდებისთვის.

ქართული საბიბლიოთეკო საქმის მკვლევარმა და ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ პასუხისმგებელმა მდივანმა გურამ თაყნიაშვილმა ილაპარაკა გულნარა სტურუას პოეტურ შემოქმედებაზე. – ეს ნიგნი არ არის მისი დებიუტი, – თქვა მან, – ქალბატონ გულნარას ლექსები შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენი ჟურნალის ნომრებშიც. გამოყო რა პოეტის ადრინდელი ანუ ახალგაზრდობის პერიოდი, იმ დროის ლექსების უშალობაზე, ძარღვიან სიტყვასა და პოეტურ წარმოსახვებზეც ისაუბრა.

საღამოს ალამაზებდა 50–60-იანი წლების ცნობილ მომღერალთა ტრიოს წარმომადგენლები: კოტე მაკარიძე და გურამ ბალარჯიშვილი ახალგაზრდა მათა მახარაძესთან ერთად. ქალბატონ გულნარას პატივსაცემად ბიბლიოთეკის მკითხველმა, თსუს სტუდენტმა ნინო კაპანაძემ საკუთარი ლექსები გააცნო შეკრებილთ.

ბოლოს ქალბატონმა გულნარამ თავისი ნიგნიდან წაიკითხა ლექსები და მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

ალ. ლორია

## კომენტარები კომენტარებზე

ჩვენი ჟურნალის 2007 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა ამერიკელი მწერლის, ჟურნალისტისა და ვებ-საიტის ექსპერტის ვილ შერმანის სტატია "რამდენად მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკარების როლი ციფრულ ეპოქაში?" ფაქტობრივად, ავტორი 33 შეკითხვაზე იძლევა კომენტარებს, რაც მეტად მნიშვნელოვან საკითხებს აშუქებს და მრავალ საინტერესო კითხვაზე იძლევა პასუხს.

სტატია იმდენად დიდია და იმდენ კითხვას შეიცავს, არ არის გამორიცხული, ბევრი მნიშვნელოვანი დებულება გულისყურის მიღმა დარჩენილიყო. გვინდა მათი

ფოკუსირებით განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებს გავუსვათ ხაზი.

ჩვენი სპეციალისტებისათვის – საბიბლიოთეკო დარგის მუშაკებისათვის დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ელექტრონული ინფორმაცია, ბიბლიოთეკების დიგილიტაცია, კომპიუტერისა და ნიგნის ბალანსირება მათი გამოყენებისას, თანამედროვე ბიბლიოთეკის სტატუსი, ბიბლიოთეკარის როლის განსაზღვრა და მისი მომავალი. ამდენად, სწორედ ამ საკითხებზე გადავწყვიტეთ ყურადღების გამახვილება და ჩვენი კომენტარების გაკეთება.

მიგვაჩნია, რომ სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ვილ შერმანი, რომ "ბიბლიოთეკა არ არის მხოლოდ წიგნსაცავი", რომ "ბიბლიოთეკების ფიზიკურად გაქრობის მოლოდინი ამაოა"...

სპეციალისტების უმრავლესობა მთელ მსოფლიოში აღნიშნავს, რომ ბიბლიოთეკა, როგორც დაწესებულება, კომპიუტერულ ეპოქაში ყველაზე მოხერხებული დაწესებულებაა ინფორმაციული მომსახურებისათვის. ვილ შერმანი პირდაპირ აცხადებს: "ის აზრი, რომ ბიბლიოთეკები წარსულში დარჩა, ხოლო კაცობრიობამ "ფრთა გაშალა და ახალ, თვითმართვადი ქემმარიტების ერაში შევიდაო", მხოლოდ ტყუილია"! ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკარი ყველაზე უფრო შეთავსებადია მასის მიერ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საქმეში. რაც შეეხება ბიბლიოთეკარს, ამ პროფესიის არსებობა ყოველ ეპოქაში, ყოველ ეტაპზეა საჭირო, რადგანაც მათ წარმატებულად შეუძლიათ მოახდინონ ადაბტაცია კულტურულ ცვლილებებთან. როგორადაც არ უნდა განვითარდეს დიგიტალური ბიბლიოთეკები, ის ბიბლიოთეკარების გარეშე ვერ იარსებებს, ამიტომაც ამბობს ვილ შერმანი: "ბიზნეს ორგანიზაციების მსგავსად, დიგიტალურ ბიბლიოთეკებსაც სჭირდებათ თანამშრომლებიო".

დიდ ყურადღებას უთმობს შერმანი ბიბლიოთეკებისა და ინტერნეტის ურთიერთობის საკითხს. მას მიაჩნია, რომ "ინტერნეტი ავსებს ბიბლიოთეკებს, მაგრამ ვერ ცვლის მათ". ამიტომაც "ბიბლიოთეკარმა უნდა დაიცვას ბალანსი ბიბლიოთეკასა და ინტერნეტს შორის". ყოვლად შეუძლებელია ინტერნეტი ბიბლიოთეკას და, საერთოდ, წიგნს დაუპირისპირდეს. ინტერნეტს თავისი ფუნქციები გააჩნია და მას არა აქვს პრეტენზია, ყველაფერს მოუყაროს თავი, რომ შესაძლებელი გახდეს მისი მეშვეობით ყველაფერი მოვიძიოთ. "ვებდგვერდებზე დიდი რაოდენობით განთავსებული საჭირო ინფორმაცია, – აცხადებს შერმანი, – ილუზიას გვიქმნის იმის თაობაზე, რომ

ინტერნეტში ყველაფრის მოძიება შეგვიძლია. ეს მტკნარი სიცრუეა". მას უდავოდ უდიდეს მოვლენად მიაჩნია კომპიუტერული ტექნიკის შექმნა და გამოყენება, ელექტრონული წიგნიერების დამყარება თანამედროვე საზოგადოებაში. მისი აზრით, "გაციფრება ცოდნის გადარჩენას ნიშნავს", მაგრამ იმას კი არა, რომ ბიბლიოთეკებს უკვე ბოლო მოეღო. როგორც ის აცხადებს, "დიგიტალიზაციას ძალიან დიდი დრო ჭირდება" და კიდევ მოჰყავს ერთი შთამბეჭდავი მაგალითი – საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებში, ამჟამად არსებულ ტემპებს თუ გავითვალისწინებთ, დაახლოებით 100 მილიონი წიგნის გაციფრებას 200 წელი მაინც დაჭირდება, ამ ხანში კი რა მოხდება, რა ტექნიკურ პროგრესს მივალწევთ, არავინ იცის, რა იდეებს შეესხმება ხორცი, რა სიახლე იქნება გამოგონილი და დანერგილი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ინფორმაციული მომსახურების ისეთი მოქნილი, ორგანიზებული და ტრადიციული დაწესებულება, როგორიც ბიბლიოთეკაა, არ იქნას ადექვატურად რეფორმირებული და გამოყენებული. "ბიბლიოთეკების გაუქმება ხელს შეუშლიდა კულტურული განვითარების მნიშვნელოვან პროცესს".

წიგნთან დაკავშირებითაც გარკვეულ მოსაზრებას ავითარებს ვილ შერმანი და მას ელექტრონულ ტექნოლოგიებთან კავშირში იხილავს. "მობილური აპარატის გამოგონება არ მოასწავებს ნაბეჭდი წიგნისა და ბიბლიოთეკის დასასრულს", – ამბობს ის, როდესაც იაპონიის პრაქტიკიდან მოჰყავს მაგალითი, როგორ იყენებენ აქ მობილურ ტელეფონებს მგზავრობის დროს წიგნების მაგივრად. ცხადია, ამგვარი "წიგნი" მხოლოდ ვიწრო დანიშნულებით თუ გამოდგება, თორემ წიგნის ყველა ფუნქციას ის ვერ შეასრულებს. ის კატეგორიულად აცხადებს: "ნაბეჭდ წიგნებს საფრთხე არც ელექტრონული წიგნის გამოგონების შემდეგ ელისო". განსაკუთრებით ფასეულია

ნიგნი შემეცნებითი ფასეულობების მიღებისას, რადგანაც ცოდნა უფრო ფოკუსირებულია ნიგნში, ვიდრე ინტერნეტში.

შერმანს მეტად საყურადღებო ექსპერიმენტის შედეგი მოჰყავს მოსწავლე ახალგაზრდების მიერ ბიბლიოთეკის გამოყენებასთან დაკავშირებით. როგორც გამოიკვავა, "სასკოლო ბიბლიოთეკებთან და ბიბლიოთეკარებთან მუშაობა აუმჯობესებს მოსწავლეთა ტესტის შედეგებს". სტუდენტებს, რომლებიც ბიბლიოთეკებით სისტემატურად სარგებლობენ (თუ ეს ბიბლიოთეკები თანამედროვე

მოთხოვნილებათა დონეზე არის) გაცილებით უკეთესი შედეგები აქვთ, ვიდრე მათ, რომლებიც ბიბლიოთეკებს არ მიმართავენ დასახმარებლად.

ვილ შერმანის მიერ განვითარებული მოსაზრებები თითქმის მთლიანად გასაზიარებელია ჩვენ მიერ. მით უმეტეს საყურადღებოა ისინი, რომ ბევრი რამ საქართველოს პირობებში არაა ადეკვატურად გაგებულ და ავტორიტეტულ დასაბუთებას მოითხოვს. სწორედ ამდენადაა განსაკუთრებით საყურადღებო ხსენებული ავტორის მეტად საყურადღებო სტატია.

### საქართველოს საბიბლიოთეკოცხოვრების ძრონიკა: მოწვევები, ვაძტმბი

□ ნოემბრის ბოლოს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოეწყო სამეცნიერო ნიგნის გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრნენ საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები და ხელმძღვანელი პირები, სტუმრები უკრაინიდან და ლატვიიდან; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ინიციატივით აქვე გამოცხადდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის კონკურსი "ბიბლიოთეკარის რჩეული".

□ მიმდინარე წლის პირველი დეკემბრიდან საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ინიციატივით დაარსდა ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამალღების მუდმივმოქმედი სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს საბიბლიოთეკო მუშაობის საფუძღვლებისა და კომპიუტერული ტექნიკის სწავლებას თანამედროვე მენეჯმენტის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. კურსების ხანგრძლივობა განისაზღვრება ორი და სამკვირიანი ვადით ჯგუფების შემადგენლობასა და მოთხოვნილების გათვალისწინებით; კურსები მუშაობს სამეურნეო ანგარიშზე, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბაზაზე, მისამართი: გ. ალექსიძის ქ. №1 (მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა); ტელ: 36-34-13, 33-17-59.

□ 27 დეკემბერს საქართველოს პარლა-


მენტის თავმჯდომარე ნ. ბურჯანაძე ეწვია თბილისის 42-ე საქალაქო ბიბლიოთეკას ლოტკინის დასახლებაში. ქალაქის მერიის დაფინანსებით ბიბლიოთეკა მთლიანად განახლდა, შეივსო მისი ნიგნობრივი ფონდი. მერიამ ბიბლიოთეკას გადასცა კომპიუტერები. ბოლო პერიოდში ასევე თანამედროვე დონეზე შეკეთდა №28-ე, №53-ე და ახალგაზრდობის ბიბლიოთეკები. მისამართს იცვლის და ახალგარემონტებულ ბინაში გადადის თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების მთავარი ბიბლიოთეკაც. მერიის კულტურის სამსახურის გეგმით თანდათანობით შერემონტდება და კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვება საქალაქო ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი.

□ 2007 წელს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ დაანესა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „ბიბლიოთეკარის რჩეული“ ორი ნომინაციით.

ბიბლიოთეკარის რჩეული ორიგინალური ნაწარმოები – 500 ლარი;

ბიბლიოთეკარის რჩეული თარგმანი – 500 ლარი.

გამომცემლობების მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი ნიგნები წაიკითხეს საქართველოს 14 ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა. დაჯილდოების ცერემონია შედგა 21 დეკემბერს თბილისის ალექსანდრე დიუმას



სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში. თბილისის, ბათუმის, კასპის, ხაშურის, ხარაგაულის, გორის და სხვ. ბიბლიოთეკარების შეფასებით, რჩეულად გამოცხდდა და ლიტერატურული პრემიის „ბიბლიოთეკარის რჩეული“ ლაურეატები გახდნენ:

ჯემალ ქარჩხაძის „ანტონიო და დავითი“ (გია ქარჩხაძის გამომცემლობა)

როგორც „ბიბლიოთეკარის რჩეული ორიგინალური ნაწარმოები“. პრემია გადაეცა ჯემალ ქარჩხაძის ვაჟს, ბ-ნ გია ქარჩხაძეს. ეს გახლდათ მეორე ლიტერატურული პრემია, რომელიც წელს მიიღო ამ ნაწარმოებმა. ერთი თვით ადრე, იგი გახდა თბილისის საკრებულოს მიერ დაწესებული ლიტერატურული პრემიის „გალა“ 2007 წლის ლაურეატიც.

ლორან გოდეს „სკორტების მზე“ (თარგმანი ფრანგულიდან, გამომცემლობა აგორა), როგორც „ბიბლიოთეკარის რჩეული თარგმანი“. პრემია გადაეცა მთარგმნელს ნინო ახვლედიანს. ეს ნაწარმოები ამავე დროს გახლავთ 2004 წლის ფრანგული ლიტერატურული პრემიის – კონკურსის პრემიის ლაურეატი.

საბიბლიოთეკო ასოციაციის მხარდასაჭერად, ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრმა დაანესა სპეციალური პრიზი საუკეთესო თარგმანისთვის ფრანგული ენიდან – მესამე თაობის მობილური ტელეფონი – რომელიც ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის დირექტორმა, ბ-მა ჟოელ ბასტენერმა გადასცა ქ-ნ ნინო ახვლედიანს.

ქ-ნმა ანა კორძაია-სამადაშვილმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა დაჯილდოების ცერემონიაში, სიამოვნებით მიულოცა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თავშეყრილ ბიბლიოთეკარებს ახალი ლიტერატურული პრემიის დაბადება.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია მადლობას უცხადებს ყველა იმ გამომცემლობას, რომელმაც თავისი მონაწილეობით მხარი დაუჭირა ამ წამოწყებას,

განსაკუთრებით დიდი მადლობა იმ გამომცემლობებსა და ავტორებს, რომელთაც საკონკურსო ნიგნები საჩუქრად გადასცეს ჟიურის წევრ ბიბლიოთეკებს.



ლიტერატურული პრემია „ბიბლიოთეკარის რჩეული“ საახალწლო საჩუქარია, რომელსაც საქართველოს ბიბლიოთეკარები ყოველწლიურად მიუძღვნიან ქართველ ლიტერატურულ მოღვაწეებს.

ლიტერატურული პრემიის „ბიბლიოთეკარის რჩეული 2008“ ჟიურის წევრობის მსურველ ბიბლიოთეკებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას (საკონტაქტო პირი: თამარ ხოსრუაშვილი, ტელ.: 92 33 04, ელ. ფოსტა: ccf.media@caucasus.net).

### სამეცნიერო ნიგნის გამოფენაზე:







ლიტერატურული პრემიის „ბიბლიოთეკარის რჩეულის“ ნომინაციებში გამარჯვებულთა გამოცხადება

# საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების კალენდარი 2008 წ.

(ბიბლიოთეკების დასახმარებლად)

## იანვარი

3 – 145 წლის წინათ (1863) დაიბადა ექვთიმე თაყაიშვილი, მეცნიერი, აკადემიკოსი, საქართველოს „მეჭურჭლეთუხუცესი“. გარდაიცვალა 1953 წ.

9 – 105 წლის წინათ (1903) დაიბადა სიმონ ჩიქოვანი – პოეტი. გარდაიცვალა 1966 წ.

20 – 160 წლის წინათ (1840) დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი – მწერალი. გარდაიცვალა 1893 წ.

22 – 220 წლის წინათ (1888) დაიბადა ჯორჯ ბაირონი – ინგლისელი პოეტი. გარდაიცვალა 1824 წ.

23 – 225 წლის წინათ (1783) დაიბადა სტენდალი (ანრი მარი ბეილი) – ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1843 წ.

24 – 75 წლის წინათ (1933) დაიბადა გივი გეგეჭკორი – პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2000 წ.

## თებერვალი

2 – 100 წლის წინათ (1908) დაიბადა სოლომონ ხუციშვილი – ლიტერატურათმცოდნე, ბიბლიოფილი. გარდაიცვალა 1995 წ.

4 – 350 წლის წინათ დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი – მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, მოღვაწე. გარდაიცვალა 1725 წ.

8 – დავითობა. ხსენება წმ. დავით აღმაშენებლისა. დაიბადა 935 წლის წინათ (1073) გარდაიცვალა 1125 წ.

– 180 წლის წინათ (1828) დაიბადა ჟიულ ვერნი – ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1905 წ.

10 – 110 წლის წინათ (1898) დაიბადა ბერტოლდ ბრეხტი – გერმანელი მწერალი, თეატრალური მოღვაწე. გარდაიცვალა 1956 წ.

15 – 85 წლის წინათ (1923) დაიბადა ილია რურუა – მწერალი. გარდაიცვალა 1997 წ.

28 – 85 წლის წინათ (1923) დაიბადა ალექსანდრე ჩხაიძე – მწერალი, დრამატურგი. გარდაიცვალა 1998 წ.

## მარტი

3 – დედის დღე.

7 – 115 წლის წინათ (1893) დაიბადა პოლიკარპე კაკაბაძე – დრამატურგი. გარდაიცვალა 1972 წ.

8 – ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.

- 15 – 140 წლის წინათ (1868) დაიბადა თედო სახოკია – მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი. გარდაიცვალა 1956 წ.
- 20 – 75 წლის წინათ (1933) დაიბადა ოთარ ჭილაძე – მწერალი, საქართველოს სახელმწიფო და რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 26 – 110 წლის წინათ (1898) დაიბადა არნოლდ ჩიქობავა – ენათმეცნიერი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1985 წ.
- 28 – 85 წლის წინათ (1923) დაიბადა აკაკი გელოვანი – მწერალი“ მთარგმნელი.  
– 140 წლის წინათ (1869) დაიბადა მაქსიმ გორკი (ალექსი პეშკოვი) – რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1936 წ.
- 29 – 80 წლის წინათ (1928) დაიბადა აკაკი ბაქრაძე – კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. გარდაიცვალა 1999 წ.

### აპრილი

- 2 – 125 წლის წინათ (1883) დაიბადა მარიამ გარიყული (თათეიშვილი-რატიანისა) – მწერალი. გარდაიცვალა 1960.
- 6 – 90 წლის წინათ (1918) დაიბადა იოსებ ნონეშვილი – პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1980 წ.
- 7 – 100 წლის წინათ (1908) დაიბადა მარიამ (მარიკა) ბარათაშვილი – პოეტი, დრამატურგი.
- 9 – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.
- 11 – 105 წლის წინათ (1903) დაიბადა აკაკი ბელიაშვილი – მწერალი. გარდაიცვალა 1961 წ.
- 13 – 140 წლის წინათ (1868) დაიბადა სიმონ ქვარიანი – მწერალი, პუბლიცისტი. გარდაიცვალა 1946 წ.
- 22 – 75 წლის წინათ (1933) დაიბადა გურამ ფანჯიკიძე – მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1997 წ.
- 23 – წიგნის საერთაშორის დღე.
- 24 – 75 წლის წინათ (1933) დაიბადა რეზო ჭეიშვილი – მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 30 – საქართველოს ბიბლიოთეკართა დღე.

### მაისი

- 9 – ფაშიზმზე გამარჯვების დღე.
- 14 – ქართული ენის დღე.
- 15 – 115 წლის წინათ (1893) დაიბადა კონსტანტინე გამსახურდია – მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1975 წ.  
– 135 წლის წინათ (1873) დაიბადა იროდიონ ევდოშვილი (ხოსიტაშვილი) – პოეტი. გარდაიცვალა 1916 წ.
- 23 – 85 წლის წინათ (1923) დაიბადა რევაზ ჯაფარიძე – მწერალი, რუსთაველის

პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1999 წ.

25 – 85 წლის წინათ (1923) დაიბადა თეიმურაზ ჯანგულაშვილი – პოეტი, გარდაიცვალა 1996 წ.

### ივნისი

1 – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

28 – 125 წლის წინათ (1883) დაიბადა ნოე ჩხიკვაძე – პოეტი. გარდაიცვალა 1920 წ.

### ივლისი

14 – 80 წლის წინათ (1928) დაიბადა ნოდარ დუმბაძე – მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1984 წ.

24 – 120 წლის წინათ (1888) დაიბადა სანდრო შანშიაშვილი – პოეტი, დრამატურგი. გარდაიცვალა 1979 წ.

### აგვისტო

12 – 80 წლის წინათ (1928) დაიბადა გურამ ასათიანი – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, მწერალი. გარდაიცვალა 1982 წ.

15 – 80 წლის წინათ (1928) დაიბადა რევაზ თვარაძე – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი.

29 – 105 წლის წინათ (1903) დაიბადა ლადო გრიგოლია – მხატვარი, ქართული წიგნის სამკაულისა და შრიფტების შემქნელი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1977 წ.

### სექტემბერი

9 – 180 წლის წინათ (1828) დაიბადა ლევ ტოლსტოი – რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1910.

– 168 წლის წინათ (1843) დაიბადა ნიკო ნიკოლაძე – პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1928 წ.

– 120 წლის წინათ (1888) დაიბადა პარმენ რურუა – პოეტი. გარდაიცვალა 1963 წ.

18 – 115 წლის წინათ (1893) დაიბადა სერგო კლდიაშვილი – მწერალი. გარდაიცვალა 1982 წ.

22 – 100 წლის წინათ (1908) დაიბადა ბონდო კეშელავა – პოეტი. გარდაიცვალა 1983 წ.

– 195 წლის წინათ (1813) დაიბადა გიორგი ერისთავი – დრამატურგი, პოეტი, თეატრალური მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი. გარდაიცვალა 1864 წ.

23 – 205 წლის წინათ (1803) დაიბადა პროსპერ მერიმე – ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1870.

– 150 წლის წინათ (1858) დაიბადა მიხეილ თამარაშვილი – ისტორიკოსი, საზოგადო

და რელიგიური მოღვაწე. გარდაიცვალა 1911 წ.

### ოქტომბერი

- 16 – 85 წლის წინათ (1923) დაიბადა აკაკი გენაძე – მწერალი, დრამატურგი.
- 20 – 110 წლის წინათ (1898) დაიბადა ალექსანდრე ქუთათელი (ქუთათელაძე) – მწერალი. გარდაიცვალა. 1982 წ.
- 24 – 115 წლის წინათ (1893) დაიბადა ვახტანგ კოტეტიშვილი – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი. გარდაიცვალა 1937 წ.
- 25 – მასნავლებლის დღე
- 28 – 140 წლის წინათ (1848) დაიბადა დავით სარაჯიშვილი – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მეცენატი. გარდაიცვალა 1911 წ.


### ნოემბერი

- 1 – 115 წლის წინათ (1893) დაიბადა პავლე ინგოროყვა – ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, მწერალი. გარდაიცვალა 1989 წ.
- 21 – 70 წლის წინათ (1938) დაიბადა იზა ორჯონიკიძე – პოეტი.
- 23 – 105 წლის წინათ (1903) დაიბადა ელიზბარ ზედგენიძე – მწერალი. გარდაიცვალა 1983 წ.
- 28 – 110 წლის წინათ (1898) დაიბადა უშანგი ჩხეიძე – მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1953 წ.

### დეკემბერი

- 9 – 400 წლის წინათ (1608) დაიბადა ჯონ მილტონი – ინგლისელი პოეტი და მოაზროვნე. გარდაიცვალა 1674 წ.
- 12 – 80 წლის წინათ (1928) დაიბადა ჩინგიზ ათმათოვი – ყირგიზი მწერალი.
- 14 – 120 წლის წინათ (1888) დაიბადა შალვა ნუცუბიძე – მეცნიერი, ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1969 წ.
- 26 – 90 წლის წინათ (1918) დაიბადა ივანე ლოლაშვილი – ფილოლოგი, მწიგნობარი. გარდაიცვალა 1984 წ.


შეადგინა  
ქეთევან ნიკურაქაშ



## კონსერვაცია გამოფენა მსირა კომენტარით

არ ვიცი, ამას კომენტარები თუ ჭირდება. ერთი შეხედვით, როგორ და სად იყიდება წიგნები თბილისში, ზედ დედაუნივერსიტეტის კარიბჭესთან. უნინ აქვე მშვენიერი წიგნის მაღაზია იყო – "აკადემწიგნი". ახლა საშაქარლამოა. სიმბოლურად ეს ნიშნავს იმას, თუ როგორ იცვლება გონიერება "კუჭიერებით".

საერთოდ, ასეთი ვითარებაა თითქმის მთელ საქართველოში. „წინსვლა“ სახეზეა.





მოსკოვის ახალგაზრდული ქართული ცეკვის ანსაბლი „კოლხიდა“ სტუმრად სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან (1967 წ. - მოსკოვის დღეები საქართველოში)



საქართველოს საბავშვო ბიბლიოთეკების მუშაკთა კურს-კონფერენციის მონაწილენი

